- 2014 წლიდან, პირველად საქართველოში, ამოქმედდა სადოქტორო პროგრამა სამხედრო მეცნიერების დარბაზი. ★

**საქართველოში და საზღვარგარეთ ჩატარებული სამრთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო პროცესით განხარილი ბანაპირობა მდგრადი მემკარიაშვილის სამუშაოება  
და მის მიერ შემანიშვილმა სამეცნიერო სკოლების მიღწევები:**

- საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – “დიდი აბრეშუმის გზის კოსმოსური სატელეკომუნიკაციო სისტემა”. კონფერენცია ჩატარდა 2000 წლის 28 მარტს, თბილისში.
- საერთაშორისო სამეცნიერო I კონფერენცია – “მოწინავე მსუბუქი კონსტრუქციები და რეფლექტორული ანტენები”. კონფერენცია ჩატარდა ევროპული კოსმოსური სააგენტოს – ESA-ს მხარდაჭერით და უშუალო მონაწილეობით 2009 წლის 14–16 ოქტომბერს, თბილისში, სასტუმრო “შერატონ მეტები პალასის” საკონფერენციო დარბაზში.
- საერთაშორისო სამეცნიერო II კონფერენცია – “მოწინავე მსუბუქი კონსტრუქციები და რეფლექტორული ანტენები”. კონფერენცია ჩატარდა 2014 წლის 1-3 ოქტომბერს, თბილისში, სასტუმრო “შერატონ მეტები პალასის” საკონფერენციო დარბაზში.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის” ორგანიზებით, ევროპული კოსმოსური სააგენტოს – ESA-ს სამეცნიერო ცენტრში, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო III კონფერენცია – “მოწინავე მსუბუქი კონსტრუქციები და რეფლექტორული ანტენები”. კონფერენცია ჩატარდა 2012 წლის 2–3 ოქტომბერს. ESA-ESTEC-ში, ჰოლანდიაში, ნორდვიკში.
- საერთაშორისო სამეცნიერო IV კონფერენცია – “მოწინავე მსუბუქი კონსტრუქციები და რეფლექტორული ანტენები”. კონფერენცია ჩატარდა 2018 წლის 19-21 სექტემბერს, თბილისში, სასტუმრო “შერატონ მეტები პალასის” საკონფერენციო დარბაზში.
- კონფერენცია სამხედრო მეცნიერების დარგში – “საომარი მოქმედების დროს მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები”. 2005 წლის 25 მარტი. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
- კონფერენცია სამხედრო მეცნიერების დარგში – “ქართული სამხედრო ტექნიკის, მათი განმარტებების კვლევა და სისტემატიზაცია”. 2011 წლის 7 დეკემბერი. თბილისი. სასტუმრო “შერატონ მეტები პალასის” საკონფერენციო დარბაზი.

#### **მოღვაწობა მეცნიერების ორგანიზაციაში, რამაც განხაპირობა:**

- სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორი ბიუროს დაარსება; ★
- საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის და საგურამოს და ბორჯომის მთიანი ზონის სასტენდო კომპლექსების შექმნა; ★
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების და სპეციალური ნაგებობების” კათედრის დაარსება; ★
- საქართველოს შეიარაღებული ძალების, გზნერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის დაარსება; ★
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაარსება;
- სამეცნიერო ჟურნალის “სამხედრო თეორია”-ს დაარსება საქართველოში; ★
- სამეცნიერო ჟურნალის “სამხედრო მეცნიერება. საქართველო”-ს/“MILITARY SCIENCE. GEORGIA”-ს დაარსება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და მისი რედაქტორობა. ★

## **პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის აღიარება:**

- საქართველოში ყოველი წლის 23 ივნისი პრეზიდენტის ბრძანებულებით დაწესებულია “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღე”.
- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი საზღვარგარეთის ენციკლოპედიურ გამოცემაში, სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურაში და ოფიციალურ დოკუმენტებში აღიარებულია ახალი პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად კოსმოსურ ტექნიკაში, ხოლო მისი ორბიტაზე გაყვანის თარიღი შეტანილია კოსმონავტიკის განვითარების უმნიშვნელოვანების ისტორიულ ქრონიკათა ჩამონათვალში.
- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის ორბიტაზე გაყვანისა და წარმატებული გამოცდისათვის და აღნიშნული მოვლენისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებისათვის, 1999 წლის 2 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია და ასევე, პრეზიდენტის მადლობა გამოცხადათ საქართველოს და საზღვარგარეთის 79 მოქალაქეს.
- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დია კოსმოსურ სივრცეში გასვლის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფომ გამოსცა საფოსტო მარკები.

## **ჯილდოები, პრემიები, საპატიო მოქალაქეობის წოდებები:**

### **1. საქართველოს საპატიოარქო სიგელები:**

- თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობისათვის – 23.11.2004 წ;
- ქართველთა ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წელიდისათვის – 30.01.2007 წ;
- და სხვები.

### **2. სახელმწიფო და საუწყებო ჯილდოები:**

- დირსების ორდენი. 18.09.1996 წ.
- ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი. 26.07.1999 წ.
- მედალი "INTERKOSMOS" – ასაწყობი დიდი რადიოტექნიკური კომპლექსების სფეროში წარმატებული თანამშრომლობისათვის. 1983 წ.
- აკადემიკოს ს.პ. კოროლიოვის სახელობის მედალი – “კოსმოსური კვლევების უზრუნველყოფაში მონაწილეობისთვის”. 12.04.1986 წ.
- მედალი “შრომითი თავდადებისათვის”. 20.08.1986 წ.
- მედალი “პირველი თანამგზავრი”. სპეციალური კოსმოსური ტექნიკის სფეროში კონკრეტული დავალების შესრულებისათვის. 1988 წ.
- “ს.პ.კოროლიოვის” მედალი. სპეციალური კოსმოსური ტექნიკის სფეროში კონკრეტული დავალების შესრულებისათვის. 01.08.1989 წ.
- სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის აღმნიშვნელი მედალი. 1996 წ.
- “ს.პ.კოროლიოვის” მედალი. სარაკეტო და კოსმოსური ტექნიკის შექმნაში შეტანილი უდიდესი წელიდისათვის. 1998 წ.
- იური გაგარინის სახელობის მედალი. კოსმონავტიკის განვითარებაში შეტანილი წელიდისათვის. 1999 წ.
- აკადემიკოს მ.ვ.კელდიშის სახელობის მედალი. დამსახურებისთვის და კოსმონავტიკის განვითარებაში დიდი ღვაწლისთვის. 05.09.2000 წ.
- მედალი “ოქროს მარჯვენა ხელი”. კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემია. 2002 წ.
- მედალი “საბრძოლო დამსახურებისათვის”. 25.05.2002 წ.

- ოქროს მედალი – “ეროვნულ ეკონომიკაში თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიების დაწერგვისათვის”. 2002 წ.
3. პრემიები:
- სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში – 1996 წელი.
  - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობითი პრემიის ლაურეატი – 2009 წ.
4. საპატიო მოქალაქეობის წოდებები:
- ქალაქ მცხეთის საპატიო მოქალაქე – 1999 წ.
  - ქალაქ ბათუმის საპატიო მოქალაქე – 2018 წ.
  - ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე – 2018 წ.

#### **მოღვაწობასთან დაკავშირდებული სხვა მიზანები:**

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი კოსმოსური მექანიკის დარგში სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. 2014წ.
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწეობისათვის. 2019 წ.
- საზღვარგარეთის და საქართველოს დიპლომები და სიგელები საუკეთესო გამოგონებებისა და პატენტებისათვის.
- ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.
- საქართველოს დაფილ აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.
- სხვადასხვა აკადემიების წევრობა.
- სამეცნიერო ჟურნალების – “Problems of Mechanics”, “მშენებლობა”, “ქართული პოლიტიკა”, “ტერმინოლოგია” და “სამხედრო თეორია” – სარედაქციო საბჭოების წევრობა.
- მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა.
- სამეცნიერო კვლევის შედეგები, გარდა ციტირებული ლიტერატურისა, განხორციელებული კოსმოსური ნაგებობის სახით, მოხსენიებულია მრავალ სამეცნიერო სტატიაში, უნიკლოპედიურ და ქრესტომატიულ გამოცემის ტექსტებში.
- მონოგრაფიების ნაწილი განთავსებულია საზღვარგარეთის და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკებში. მათ შორის: გერმანიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში – N.B.G; ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში – British Library; და ბავარიის ბიბლიოთეკაში – Bavaria State Library.
- სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები და ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში, მათ შორის – Who's who in the World, USA. 2008, 2009; Who's Who in Science and Engineering, USA. 2007, 2008, 2009; IBC Foremost Engineers of the World; Cambridge, England. 2008. ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვან თავისუფალ ინტერნეტ-ენცილოპედიაში – “ვიკიპედია”.
- ინტერნეტ-საიტი – Категория: Ракетно-космических систем – 100 ცნობილი კონსტრუქტორი.
- ინტერნეტ-საიტი – Космонавтика – Superwiki.ru 726
- ინტერნეტ-საიტი – Ракетная техника – Superwiki.ru 206
- ინტერნეტ-საიტი – Космическая техника – Superwiki.ru 297
- ინტერნეტ-საიტი – [PDF] Earth Observation History. Pdf 621.
- ინტერნეტ-საიტი – Хроника освоения космоса. 1999 год.
- ინტერნეტ-საიტი – RSC “Energia” – Corporation – პროგრამა “რეფლექტორი” შეტანილია კოსმონავტიკის მნიშვნელოვანი ქრონიკების ჩამონათვალში.

- ოფიციალური მასალები, დოკუმენტები და აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, რომლებიც უკავშირედება პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნას და ელგუჯა მემარიაშვილის სამეცნიერო-სამსახურო მოღვაწეობას, ინახება:
- საქართველოს ეროვნულ არქივში;
- აჭარის საარქივო სამმართველოში;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის “ოქროს ფონდში”;
- საქართველოს ეროვნულ მუზეუმში;
- ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში;
- აჭარისა და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმებში;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, საეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში;
- და ელგუჯა მემარიაშვილის პირად არქივში.
- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დამზადების, ორბიტაზე გაშვებისა და გამოცდების კადრები ინახება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის “ოქროს ფონდში”.
- მასალები აღიარების შესახებ, ასევე იძებნება ინტერნეტ-საიტებზე რუბრიკით: NASA Medzmariashvili; ESA Medzmariashvili; Эксперимент «Рефлектор», Космическая станция «МИР»; Deployable Space Reflector – სათანადო ფოტოილუსტრაციებით; NATO E.Medzmariashvili; Images for Станция МИР Эксперимент Рефлектор; Уникальные эксперименты, проведенные на ОК МИР; Elguja Medzmariashvili; Орбитальный пилотируемый комплекс «МИР» ; Images for МИР 1999 Космонавт Авдеев; Gunter's Spusage Reflector; UFO Caught By Jean Pierre Haignere, Russian MIR Astronaut, 1999; Images for Astronaut Jean Pierre Haignere Mir 1999 და სხვა.

#### **მოღვაწეობის ძირითად მიღვევათა ჩამონათვალი:**

- I. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა, მისი ორბიტაზე გაყვანის და პროგრამა “რეფლექტორის” რეალიზაცია დია კოსმოსურ სივრცეში.
- II. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორიის შექმნა.
- III. კოსმონავტიკის დარგის – კოსმოსური ნაგებობების ქართული სამეცნიერო და ტექნიკური სკოლის ჩამოყალიბება.
- IV. საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის სამეცნიერო მიმართულების განვითარება. ★
- V. ახალი თაობის ორბიტული სისტემების შექმნა და მათი რეალიზება საზღვარგარეთის კოსმოსურ პროგრამებში.
- VI. ახალი თაობის კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შექმნა და მათი რეალიზება საქართველოში და საზღვარგარეთ. ★
- VII. შექმნილი სამეცნიერო მიმართულების რეალიზება აკადემიურ სფეროში – ახალი სასწავლო დისციპლინის შექმნა, რომლის მიხედვით იკითხება ლექციები უნივერსიტეტში, ასევე სადოქტორო პროგრამა სამხედრო მეცნიერების დარგში. ★

#### **აღნიშნულმა მიღწევებმა განაპირობა:**

- საქართველოში დამატებით რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ექვივალენტის ფინანსების შემოდინება;
- ასეულობით სამუშაო ადგილების შექმნა;
- რამდენიმე სახელმწიფო სამეცნიერო, აკადემიური და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ჩამოყალიბება;

- ევროპული და აშშ კომპანიების მიერ საქართველოში, კოსმოსური და მიწისზედა ტექნიკის დარგში შექმნილი კერძო სტრუქტურები და საზღვარგარეთიდან მიღებული შეკვეთების შესრულება;
- უნიკალური სასტენდო კომპლექსების აგება;
- ახალი ტექნოლოგიების შემოტანა;
- შეკვეთები წარმოებებში;
- კონსტრუქციების შექმნა, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში;
- კოსმოსურ პროგრამებში საქართველოს მონაწილეობა;
- ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის წარმოჩენა საერთაშორისო არენაზე და პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის წარმატებული გაშვება ორბიტაზე.

[Medzmariashvili@gtu.ge](mailto:Medzmariashvili@gtu.ge)

**დოკუმენტი – “ელგუჯა მემარიაშვილის სამეცნიერო-ტექნიკური მოდგაწეობა – C.V.”, შედგენილია ოფიციალური დოკუმენტებისა და მასალების მიხედვით.**

**C.V.-ში მოხსენიებული სამუშაოები და დოკუმენტები გრიფებით “სრულიად საიდუმლო” და “საიდუმლო” მოცემულ ეტაპზე “განსაიდუმლოებულია”.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და  
საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის  
დირექტორი,**

**ნოდარ წიგნაძე**



ორგანიზაციული სივრცე, რომელიც განისაზღვრა  
ელგუჯა მემარიაშვილის ინიციატივების და სამუშაოების მიხედვით  
და რომელშიც შეიძლება პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი

- 1979 წლის 1 თებერვალს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის ბრძანებით, შეიქმნა სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიურო “მშენებლობა”.
  - 1982 წლის 19 ნოემბერს, მოსკოვის ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “კომეტას” – ი/ქ A-1178-ის გენერალური კონსტრუქტორის და გენერალური დირექტორის და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროს “მშენებლობის” რეორგანიზაციით შეიქმნა “სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო M-19”, რომელიც ასევე წარმოადგენდა მოსკოვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების – “კომეტას” ქვედანაყოფს თბილისში.
- 



- 1983 წლის 22 მარტს გამოგონებების და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტმა სასაქონლო ნიშანზე – ემბლემაზე, გასცა მოწმობა №73756, რომელიც გახდა “სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო M-19”-ის ემბლემა.
  - ემბლემის შინაარსის, დეტალების და მათი კომპოზიციის ავტორია ელგუჯა მემარიაშვილი. ემბლემის მხატვრულ სახეზე იმუშავეს ახალგაზრდა მხატვრებმა და არქიტექტორებმა.
- 
- საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო სახელმწიფო კომისიის, 1985 წლის 12 დეკემბერს, №16 გადაწყვეტილების საფუძველზე და მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 17 ოქტომბრის №ПП-21852c დაგადებით, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების უფლებით და დამოუკიდებელი ბალანსით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 3 ნოემბრის, “სრულიად საიდუმლო”, № 685-33 დადგენილებით, შეიქმნა “სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო”, გამოსაცდელი ბაზების და საწარმოო უბნის კომპლექსით. (პირადი არქივი. დოკუმენტები: 43.01–43.02–43.03; 44.01–44.02; 45.01; 46.01–46.02–46.03–46.04).

სხვა საკითხებთან ერთად:

- საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალათ სახელმწიფო საიდუმლოობის შენახვისთვის, სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში აუცილებელი დავალებების შესრულება.

- საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო და მისი საგურამოს და ბორჯომის ბაზები უზრუნველყო გასამხედოებული დაცვით და სათანადო რეჟიმით.
- სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს განესაზღვრა 410 საშტატო ერთეული.
- საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრკ რადიომრეწველობის სამინისტროს დაევალათ, თბილისში სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობა 300 თანამშრომელზე და მისი დამთავრება 1990 წელს.
- შესაბამისად, 1986 წლის 14 ნოემბერს, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გამოსცა № 187 ც, “სრულიად საიდუმლო” ბრძანება.
- სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს, როგორც უფლებამონაცვლეს შეუნარჩუნდა “სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო M-19”-ის ემბლემა.
- 1991 წლის 30 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, №339 დადგენილებით, სპეციალურ სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს ეწოდა “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების ინსტიტუტი”.
- ინსტიტუტს შეუნარჩუნდა “სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს” ემბლემა.
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, 1992 წლის 19 ოქტომბრის, № 1001 დადგენილებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების ინსტიტუტს ეწოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი”.
- ინსტიტუტის ემბლემა უცვლელი დარჩა.
- 1995 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო ბიუროს №36 გადაწყვეტილებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში”, შეიქმნა “შეიარაღებული ძალების საინჟინრო ცენტრი”.



**შეიარაღებული ძალების საინჟინრო ცენტრის  
ემბლემა**

- 1996 წლის 24 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით №09-ს, კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის “შეიარაღებული ძალების საინჟინრო ცენტრი”, ინსტიტუტის შემადგენლობაში, ცალკე სტატუსით რეორგანიზდება “სამხედრო ძალების სახელმწიფო საინჟინრო ცენტრად”.
  - ცენტრის ემბლემა უცვლელი დარჩა.
  - საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის, 11 ოქტომბრის, №587 ბრძანებულებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის” რეორგანიზაციით, შეიქმნა საქვეუწყებო დაწესებულება – “სპეციალური საინჟინრო სახელმწიფო ცენტრი”. იგი მოიცავდა, როგორც კოსმოსურ ტენოლოგიებს, ასევე სამხედრო-საინჟინრო დარგებს.
  - “სპეციალურ საინჟინრო სახელმწიფო ცენტრს”, როგორც “კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის” უფლებამონაცვლეს, შეუნარჩუნდა მისი ემბლემა.
  - 2000 წლის, საქართველოს პრეზიდენტის 7 ნოემბრის, №478 ბრძანებულებით “სპეციალური საინჟინრო სახელმწიფო ცენტრის” რეორგანიზაციით შეიქმნა:
  - საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სსიპ “საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი”;
- და
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის არსებული, “საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია”.



“საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტმა”  
შეინარჩუნა თავისი ტრადიციული ემბლემა



“საქართველოს შეიარაღებული ძალების  
გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო  
აკადემიის” ემბლემის კონსტრუქციის იდეოლოგია  
ეკუთვნის ელგუჯა მექარიაშვილს, ემბლემის  
მხატვრული სახე ცნობილმა პერალდიკოსმა, ემირ  
ბურჯანაძემ ჩამოაყალიბა.

- 2001 წელს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა “სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების და სპეციალური ნაგებობების კათედრა”, რომელიც 2005 წლამდე ფუნქციონირებდა.
- საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვალის № 42 დადგენილებით, სსიპ “საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის” და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული, “საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის” რეორგანიზაცია – შეერთების გზით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2006 წლის 17 აპრილის № 40 ბრძანებით, შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული “ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი”.

ინსტიტუტის ემბლემა განისაზღვრება  
ემბლემათა სინთეზით



- 2010 წლიდან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამაგისტრო პროგრამით იკითხება სალექციო გურსი “ტრანსფორმირებადი ნაგებობები”, რომელიც შედგენილია ელგუჯა მემმარიაშვილის სამუშაოების მიხედვით.
- 2012 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამოქმედდა სადოქტორო პროგრამა “სამხედრო ინჟინერია”, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. პროგრამამ წარმატებით გაიარა მეორე აკრედიტაცია 2019 წელს.
- 2009 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა” დაიწყო გამოცემა ჟურნალისა “სამხედრო თეორია”.
- 2017 წელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, დააფუძნა სამეცნიერო ჟურნალი “სამხედრო მეცნიერება. საქართველო” / “MILITARY SCIENCE. GEORGIA”, რომელიც ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოიცემა.
- 2001, 2009, 2014 და 2018 წლებში, საქართველოში, ევროპული კოსმოსური სააგენტოს და სხვადასხვა ევროპული კომპანიებისა და ორგანიზაციების ეგიდით და მხარდაჭერით, ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები დიდგაბარიტიანი კოსმოსური კონსტრუქციების დარგში.

საბიუჯეტო ორგანიზაციების გარდა, კონკრეტული კოსმოსური და მიწისზედა სპეციალური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შესაქმნელად, დამატებით ორგანიზაციული და არასაბიუჯეტო ფინანსებით უზრუნველყოფისათვის, ასევე საზღვარგარეთის კომპანიებიდან შეკვეთების მოპოვებისა და მათი რეალიზაციისათვის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიქმნა და ეფექტურად ფუნქციონირებდა ორი კომპანია.

- 1996 წლის 30 აგვისტოს თბილისში დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტი” – “სპ0” – “GPI” – “**GEORGIAN POLYTECHNICAL INTELLECT**”. მისი პრეზიდენტი გახლდათ საზღვარგარეთ მოღვაწე, ქართველი ბიზნესმენი გრიგორი კინტერაია. 1998 წლის 7 მაისს, კომპანია გადარეგისტრირდა მცხეთაში. მცხეთის რაონის სასამართლოს 1998 წლის 21 მაისის დადგენილებით –რეგისტრაციის №46/4-24-98.
- ქართული კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” დამფუძნებლები იყვნენ: საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ევროპული კომპანიები – “გრეამი” და “ვალემარი”, ასევე ქართული კომპანია “დარბაზი”.



— კომპანია “GPI” მჭიდროდ თანამშრომლობდა “საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტთან”. სწორედ ეს იყო ამ კომპანიის შექმნის და არსებობის მიზანი. ამიტომაც იყო, რომ მისი ემბლემა თითქმის იდენტური იყო “საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის” ემბლემისა.

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “**ENERGIA-GPI-SPACE**” – “**EGR**” დაფუძნდა საქართველოში, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1998 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით № 5/1-1974.

ქართული კომპანია “EGR” დამფუძნებლების – კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” და სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაპეტო- კოსმოსური კორპორაცია “ენერგიას”, კრება შედგა 1998 წლის 3 ივლისს.



— “EGS” შექმნის უმთავრესი და ერთადერთი უპირატესი მიზანი იყო პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანის უზრუნველყოფა, რომელიც შეიქმნა საქართველოში, ქართველების მიერ, “საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი”, რაც ასევე აისახა კომპანიის ემბლემაზე.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე წარმატებული გაშლისა და გამოცდის შემდეგ, ინტერნეტ-საიტებზე ჩნდება ახალი კომპანია – ჩიპი «ЕГС», რომელიც დარეგისტრირდა მოსკოვში, და რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნასა და ორბიტაზე გაყვანასთან. ეს კომპანია შეიქმნა სხვა სამუშაოებისთვის.

- გარდა აღნიშნული ორი კომპანიისა, პერსპექტიული სამუშაოებისთვის, საქართველოში იქმნება ახალი კომპანია.
- 2019 წლის 30 მაისს, თბილისში დარეგისტრირდა კომპანია “ტრანსფორმირებაზე ნაგებობები. საქართველო – ტ.ს. საქართველო” – “TRANSFORMABLE STRUCTURES. GEORGIA – T.S. GEORGIA”, მისი დამფუძნებელი და დირექტორია ელგუჯა მემარიაშვილი.



— კომპანიის ემბლემა უკვე სახეშეცვლილია და მასზე “ბუმბული” – მსუბუქი კონსტრუქციების სიმბოლო, უკვე კოლონის თავზე თავისუფალ ფრენაშია. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ქართული კონსტრუქცია უკვე კოსმოსურ სივრცეშია გასული.

2019 წლის 8 ნოემბერს სანოტარო მოქმედების შედეგად კომპანია “ტრანსფორმირებაზე ნაგებობები. საქართველო – ტ.ს. საქართველო” – “TRANSFORMABLE STRUCTURES. GEORGIA – T.S. GEORGIA”, 100% წილის მფლობელი გახდა აშშ კომპანია “EOS Data Analytics”.

კომპანიის გენერალური კონსტრუქტორია ელგუჯა მემარიაშვილი. კომპანია აშშ-სთვის ქმნის კოსმოსურ ნაგებობებს – ორბიტულ კომპლექსებს.



... 0ს, რაც უნდა აღინიშვნს ...



ელგუჯა მემარიაშვილის სამუშაოთა სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური თემატიკა 1995 წლამდე ძირითადად გასაიდუმლობული იყო. 1995 წლის შემდეგაც, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, მისი სამუშაოების გარკვეული ნაწილი კვლავაც გასაიდუმლობული არის და ისინი შექება საქართველოს თავდაცვის პრობლემაზიკას.

თუ განვიხილავთ სამუშაოთა თემატიკას, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე, ელგუჯა მემარიაშვილის მიერ, მხოლოდ 1969 წლიდან 1975 წლამდე შესრულდა კვლევები, რომელთაც არ გააჩნდა საიდუმლოების დამადასტურებელი გრიფი.

აღსანიშნავია ის, რომ მან, ჯერ კიდევ სტიდენტობის წლებში, 1969 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი – “გარსთმშენებლობის განვითარების საკითხებისათვის”.


არაგასაიდუმლობულ კვლევებს იგი ნაწილობრივ 1975 წლიდან 1995 წლამდეც ატარებდა, მაგრამ ეს იყო მისი ნომინალური პუბლიკაციები “ღია” სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც ძირითადად მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის იყო აუცილებელი. სხვა მხრივ ელგუჯა მემარიაშვილის შრომები, გამოგონებები, ანგარიშები, სახელმწიფო პროგრამები და რეალიზებული მიწისზედა და კოსმოსური კომპლექსები, რომლებიც თავდაცვითი მიზნებით იქმნებოდა, სრულიად გასაიდუმლობული იყო.

1995 წლიდან ელგუჯა მემარიაშვილი იწყებს კვლევებს, როგორც სამოქალაქო-კოსმოსური სისტემების დარგში, ასევე სამხედრო თეორიაში, რაც მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობაზე აისახა.

მრავალფეროვანია მისი კვლევების და რეალიზებული კონსტრუქციების თემატიკა, ისინი მოიცავენ სამშენებლო, სამხედრო-კოსმოსურ, სამოქალაქო-კოსმოსურ მიმართულებებს, ტრანსფორმირებადი სისტემების თეორიას, სამხედრო საინჟინრო დარგებს და სამხედრო თეორიას.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო თემატიკით მის სამუშაოებში განსაკუთრებული ადგილი და მოცულობა უკავია საქართველოს სამხედრო დარგის სახელმძღვანელოებს, განკუთვნილს ქართველი სამხედრო მოსამსახურეებსა და სამხედრო დარგის სპეციალისტებისათვის.

წლების მანძილზე მისი კვლევებისა და სამუშაოთა პრაქტიკული რეალიზაციის მიხედვით, საინტერესოა იმ პიროვნებათა ჩამონათვალი, ვისაც ელგუჯა მემარიაშვილი თავის მასწავლებლებად თვლის. ესენია:



### თეიმურაზ ლოლაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი



### გრიგორი სამოილოვიჩი

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი. სამხედრო-  
საინჟინრო ციკლის ხელმძღვანელი გენერალური  
შტაბის სამხედრო აკადემიაში.



### ვიტალი შაგანოვი

თავდაცვის მინისტრის მოადგილე შეიარაღების  
დარგში, არმიის გენერალი, ინჟინერი

### ირაკლი ჯორჯაშვი

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
გენერალ-ლეიტენანტი. საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, სამხედრო  
ხელოვნების ისტორიის ციკლის ხელმძღვანელი  
გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში



### ლეონიდ მედლევი

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი.  
სამხედრო-საინჟინრო აკადემიის უფროსის  
მოადგილე სამეცნიერო დარგში



#### 0შრ0 ბლაზუნოვი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
პოლკოვნიკი. სამხედრო-საინჟინრო აკადემიის  
ეპთედრის გამგე. პონტონების პარკის შემქმნელი



#### ანატოლი სავინი

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,  
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალური  
კონსტრუქტორი



#### იოჰანეს ჩემლერი

“დაიმლერ ბენცის” სამეთგალურეო საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე დოქტორი, პროფესორი  
(გერმანია)



#### მაიირ ლანდრუტი

“დაიმლერ ბენცის” წარმომადგენელი აღმოსავლეთ  
ევროპაში. წარსულში გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი  
საბჭოთა ქავშირში, დოქტორი  
(გერმანია)



#### ვერნერ ჰაინცმანი

“დაიმლერ ბენც აეროსპეისის”  
დირექტორი სამხედრო შეიარაღების  
ტექნიკის დარგში, დოქტორი  
(გერმანია)

#### შილიაშ რენო

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საინჟინრო  
კორპუსის გენერალ-ლეიტენანტი, აშშ-ს არმიის G-1  
შტაბის უფროსის მოადგილე 1990-1992 წ.წ.  
დოქტორი, სამხედრო უნივერსიტეტის პროფესორი  
(აშშ)

ელგუჯა მემარიაშვილის სამუშაოების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული იყო ყურადღება სამეცნიერო წრეებში. ამის შესახებ მიანიშნებს ის შეფასებები, რომლებიც თუნდაც სამხედრო თეორიისა და პრაქტიკის დარგში მოღვაწე მეცნიერებს ეკუთვნით:

- “ჩვენთან, კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის კათედრაზე, ელგუჯა მემარიაშვილი წარგზავნილი იყო თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის უფროსის მიერ ...

... როგორც კოსმოსური ტექნიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, ელგუჯა მემარიაშვილის მიდგომა იყო პირველი პრეცედენტი, რომელმაც შემდგომში ასახვა პპოვა სამამულო და საზღვარგარეთის პრაქტიკაში.

ამ მიმართულებით, სახელმწიფო გადაწყვეტილებების საფუძველზე, შესრულდა მრავალი სამხედრო პროგრამა, რომელთა წარმატებები, მეტწილად, განაპირობა რთული მექანიკური სისტემებით, სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის პრინციპების გადაადგილებამ კოსმოსური ორბიტაზე”.

**ლენინური პრემიის ლაურეატი,  
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, პოლკოვნიკი**

**0300 ნიკოლოზის მე ბლაზნოვი**

- 
- “მთლიანობაში, ელგუჯა ვიქტორის ძე მემარიაშვილის მიერ, ტრანსფორმირებადი სივრცითი სისტემების საფუძველზე შემუშავებული, სამხედრო-საინჟინრო კონსტრუქციების შექმნის პრინციპები ქმნის ჯარების მოქმედების საინჟინრო უზრუნველყოფის საშუალებებისა და ხერხების სრულყოფის დიდ შესაძლებლობებს ...”

**სამხედრო-საინჟინრო აკადემიის,  
საინჟინრო უზრუნველყოფის კათედრის  
პროფესორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,  
გენერალ-ლეიტენანტი**

**ლეონიდ სერგეის მე მადლევი**

- 
- სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების დარგში ელგუჯა მემარიაშვილის სამეცნიერო შრომების მიმართ საინტერესოა მარშალ შუკოვის სახელობის საპატიო-კოსმოსური აკადემიის პროფესორის, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორ ანატოლი კარაბელნიკოვის შეფასება:

“ავტორმა შეძლო შეექმნა, თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით საქართველოს პირობების შესაბამისი სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების ერთიანი მეთოდოლოგია”.

- ელგუჯა მექმარიაშვილის სამეცნიერო კვლევების მიმართ სამხედრო და სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების სფეროში, მრავალ სამეცნიერო სიახლეებს შორის, ტვერის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი ხაიდ იცკოს ძე ლეიბოვიჩი განსაკუთრებულად აღნიშნავს იმას, რომ ავტორმა კვლევების პრაქტიკულ დირექტულებას მიაღწია – “სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის გამოყოფით და მისი, როგორც საპაერო-კოსმოსური სფეროს ობიექტად შემოღებით ...”.
- 

- უფრო მოგვიანებით რუსეთის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი ლეონიდ მედლევი კვლავ უბრუნდება ელგუჯა მექმარიაშვილის სამუშაოების შეფასებას, – ახლა უბავ სამხედრო ხელოვნების დარგში და აღნიშნავს:

“ელგუჯა ვიქტორის ძე მექმარიაშვილმა გამოავლინა ქვეყნის სამხედრო-საინჟინრო მომზადების პრობლემის გადაწყვეტის სრულიად პროფესიონალური მიდგომა. მის მიერ ჩატარებული კვლევები უდავოდ წარმოადგენს შემდგომ განვითარებას სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების თეორიის და პრაქტიკის საკითხებისა და განაპირობების მრავალი მნიშვნელოვანი ამოცანების ხარისხობრივ გადაწყვეტას არა მარტო სამხედრო-საინჟინრო მომზადებისა, არამედ მთელი ინფრასტრუქტურის ერთიანი განვითარებისა”.

---

- “ე.ვ.მექმარიაშვილის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები საფუძვლად დაედო სამოქალაქო, მიწისზედა სამხედრო და კოსმოსური კომპლექსების შექმნას, რომელთა შორის მრავალმა სამუშაომ და ნაკეთობებმა განაპირობეს სახელმწიფო თავდაცვითი პროგრამების შესრულება.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომელიც გაიშალა ორბიტულ სადგურ “მირზე”, დამუშავებულია გენერალური კონსტრუქტორის, ელგუჯა მექმარიაშვილის მიერ ...”.

**სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი;**

**რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**

**საბჭოთა კავშირის გმირი;**

**ლენინური, სამი სტალინური და სამი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;**

**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი** ა. ი. სავინი

ელგუჯა მემარიაშვილის ნაშრომის – „საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების თავდაცვისათვის მომზადების და საბრძოლო მოქმედებათა საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემების” მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საინჟინრო კორპუსის გენერალ-ლეიტენანტი, რომელიც წლების განმავლობაში აშშ-ის მრავალ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, შემდეგ დასკვნას აკეთებს:

“ ... ნაშრომს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, განავრცოს ზოგად ქართული უნარი საკუთარი, როგორც ერის სამხედრო ძალამოსილობის გარდაქმნისა, ასევე ეკონომიკური პოტენციალის გარდაქმნისა, და წაადგეს მის გეოპოლიტიკურ სტაბილურობას ქვეყნის შიგა თუ რეგიონალური თვალსაზრისით. ნაშრომი, აგრეთვე, გამოსადეგია, როგორც ნიმუში სისტემური მიმართვისათვის სახელწიფო საინჟინრო კომპლექსების დარგში. ეროვნული ეკონომიკური განვითარების პროგრამათა შესაბამისად, რაც მთლიანად სამხედრო სფეროს გარეთ იმყოფება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება საქართველოს სამხედრო და ეროვნული კაპიტალის უნარზე, კონსტრუქციულად შეითვისოს და გამოიყენოს თეორიები, მოდელები, ანალიზები. მისი თავდაპირველი პრაქტიკული სარგებელი მშვენივრად გამოიკვეთება მის ინტელექტუალურ ქვაკუთხედში იმ კონცეფციათა მხარდასაჭერად, რომლებითაც მთავრობის სამინისტროებს შეუძლიათ კომპლექსურ პრობლემებთან შეჭიდება. მას პრაქტიკული გამოყენება შესაძლოა პქონდეს, ასევე, საქართველოს საუნივერსიტეტო სისტემებში – კომპლექსური განშლადი თეორიების სისტემური კვლევებისა და ინტეგრაციის მეთოდოლოგიით სასწავლებლად“.

**ბენერალ-ლეიტენანტი უილიამ ჰ. რენო**

(დედნის ტექსტი  
ინგლისურია)

---

ბოლო პერიოდში, აღსანიშნავია ელგუჯა მემარიაშვილის მიერ საქართველოში პირველად ამოქმედებული სადოქტორო პროგრამა სამხედრო დარგში და ამ მიზნით შექმნილი სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები.

2019 წელს აღნიშნულმა სადოქტორო პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, რომლის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ ბრიუსელის სამეცნ სამხედრო სკოლის პროფესორი, პოლკოვნიკი, უან ჟაკ ჟ. მარსია საექსპერტო დასკვნა იყო უპრეცედენტოდ დადებითი, ყოველგვარი შენიშვნების გარეშე, პოლკოვნიკმა ჟ. მარსიამ სხდომის შემდეგ განაცხადა, რომ იგი სიამოვნებით გამოაგზავნიდა სამხედროებს ევროპული სახელმწიფოებიდან აღნიშნული სადოქტორო პროგრამის გასავლელად.

---

მნიშვნელოვანია პროგრამასთან დაკავშირებული რეცენზიები:

“... მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლიერება ტექნიკურ უნივერსიტეტი დოქტორანტურის სამხედრო-საინჟინრო განათლებასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაციის შესახებ. დეტალური სასწავლო გეგმა კიდევ უფრო შთამბეჭდავია და საქართველო და მისი ინსტიტუტები ბოლო პერიოდში მიაღწევენ დიდ პროგრესს ...”

**გერმანიის სამხედრო წარმომადგენელი ნატოსა და ევროკავშირში  
ბენერალ - ლეიტენანტი ჰანს ვიმერმანი  
ბრიუსელი, I ივნისი 2018წ.**

---

“... შემოთავაზებული სადოქტორო განათლების “სამხედრო საინჟინრო” პროგრამა, როგორც ჩანს, ძალიან მორგებული იქნება.

აღწერილობისა და სილაბუსის მიხედვით, ის შეუერთდება სპეციფიკურ სამოქალაქო და სამხედრო ცოდნას საინჟინრო მნიშვნელობის საკითხებში. უფრო მეტიც, ის სრულად შეესაბამება სამოქალაქო აკადემიურ სქემებს (ისევე როგორც ევროკავშირის “ბოლონიის სისტემა”) და ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად სამხედრო ურთიერთქმედების მხარდაჭერას ...”

**ავსტრიის სამხედრო წარმომადგენელი ევროკავშირსა და ნატოში  
ბენერალ-ლეიტენანტი ვრანც ლეიტგენტი  
ბრიუსელი, 2018 წლის 14 ივნისი**

---

“... სალექციო კურსები სიღრმისეულია და წარმოდგენილია “სამხედრო საინჟინრო” სფეროში.

გარდა ამისა, სალექციო კურსი განიხილავს შეტევისა და თავდაცვის ნებისმიერ შემთხვევას, ნებისმიერ გარემოში, წლის ნებისმიერ პერიოდსა და ამინდის პირობებში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სადოქტორო პროგრამა “სამხედრო ინჟინერიის” მიხედვით, დოქტორანტი იძენს ცოდნას საქართველოს საბრძოლო ოპრაციებისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის სტრატეგიების შესახებ.

ამრიგად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა “სამხედრო ინჟინერია” სრულად შეესაბამება საქართველოს სახელმწიფოს მოთხოვნებს და ეს არის კარგი წინაპირობა საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრების მაღალი კვალიფიკაციისათვის, რათა შეესაბამებოდეს მოთხოვნებს NATO-ს ოპერაციებსა და მისიებში ...”

**მიროსლავ შიგა  
კომპანია “EXCALIBUR INTERNATIONAL, a.s.”  
სპეციალური სამხედრო პროგრამის დირექტორი  
ჩეხეთის რესპუბლიკა**

ახლა რაც შეეხება კოსმოსურ ტექნიკას – დიდი გასაშლელი ორბიტული ნაგებობების ქართული სკოლის ჩამოყალიბებას და ამ დარგში, საზღვარგარეთთან თანამშრომლობით კოსმოსური ნაგებობების შექმნას. ამ მხრივ, ელგუჯა მექმარიაშვილმა თითქმის 40 წლის განმავლობაში მრავალჯერ დიდ გამარჯვებებს მიაღწია, რომლებმაც ასახვა საზოგადოებაში და პრესაში, მხოლოდ მისი სამუშაოების ნაწილობრივ განსაიდუმლოების შემდეგ, 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი იყო სტატია, სადაც აღნიშნული იყო რომ:

“... ამ ციკლოპისებრ კორპუსებში, უწონადობის პირობებში განთავსებულია შესანიშნავი შედევრები ...

... რატომ არიან ისინი აქ? შეკითხვა კანონზომიერია და მე მას ვუპასუხებ კონკრეტულად: იმიტომ, რომ საქართველოში, ოცი წლის წინ, თავის შესახებ განაცხადა ელგუჯა ვიქტორის ძე მექმარიაშვილმა – ინსტიტუტის დღევანდელმა გენერალურმა დირექტორმა და გენერალურმა კონსტრუქტორმა.

საინსტიტუტო განათლების მიხედვით იგი ინჟინერ-მშენებელია, ხოლო დისერტაციის მიხედვით “მშენებელ-სიურეალისტი”. მისი განუზომელი ფანტაზია ქმნიდა უნიკალურ ნაგებობებს, ტრანსფორმირებადს, როგორც სალვადორ დალის გენიალურად გაწერილ ფანტასმაგორიებში”.

ასე ახასიათებს საგურამოს კოსმოსური ნაგებობების უნიკალურ სასტენდო კომპლექსს, ელგუჯა მექმარიაშვილს და მის მიერ შექმნილ კონსტრუქციებს იური ეგოროვი თავის სტატიაში “Колосс в коллапсе”, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ “Техника-молодежи”-ს 1997 წლის 1 ნომერში.

მაქსიმ კალაშნიკოვის გახმაურებულ რომანში – “Великие противостояния. Крещение огнём. Алтарь победы”. სერია: “Крещение огнём. Глава – Брошенные в Мцхете”. გამოცემლობა «Астраль» 2008 წ. მთელი თავი დაეთმო ელგუჯა მექმარიაშვილის მოღვაწეობას, სადაც გამორჩეულად არის აღწერილი მისი ლიდერობა მსოფლიო არებაზე:

“... 1970-იან წლებში, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის დამაარსებელმა, ელგუჯა მექმარიაშვილმა შექმნა მთელი მეცნიერება ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების შესახებ ...

შემდეგ სამუშაოთა შემკვეთები გახდნენ იმპერიის სამხედროები. საჭირო იყო გიგანტური, 30-მეტრიანი გაბარიტის გასაშლელი ორბიტული რადიოტელესკოპური

ანტენები. ამ ხელსაწყოებს უნდა აღმოვჩინათ ამერიკული, ბირთვული რაკეტების სტარტი ...

საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეძლეს ანტენის გაკეთება. რადიოტელეკომუნიკაციის გაშვება ორბიტაზე იგეგმებოდა რაკეტა-მატარებლით “Протон”, მაგრამ იმპერია დაიშალა.

ბევრის მოქმედი ფაქტია: 1995 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში შეძლეს გაეშალათ კოსმოსში 15-მეტრიანი გაბარიტის მქონე ანტენა, არადა ასეთებს, ჯერ კიდევ ათი წლით მათზე ადრე, მცხეთაში აკეთებდნენ ...”

მიუხედავად მაქსიმ კალაშნიკოვის მიერ, თავის წიგნში წარმოჩენილი “ველიკოდერული” და იმპერიული ზრახვებისა და ამსათან საქართველოს მიმართ არა კორექტულად გამოხატული “სიბრალულისა”, მან გვერდი ვერ აუარა ელგუჯა მემარიაშვილის მიერ შექმნილ განსაკუთრებული მნიშვნელობის კოსმოსურ კომპლექსებს.

ზოგადად მეტად საინტერესოა რუსეთის მხრიდან გაპეთებული შეფასებები, რომლებიც შეეხება პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტს და რომელიც რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ექსპერიმენტით ორბიტულ სადგურ “მირზე” გამოიცადა ინტერნაციონალური ეკიპაჟის მიერ, რუსი და ფრანგი კოსმონავტების მონაწილეობით.

გამონათქვამებში და შეფასებებში, მოვლენები დაკავშირებული პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტთან სრული აღმატებული ფორმით არის გადმოცემული, ოღონდ ზოგიერთ პუბლიკაციაში არ არის ნათქვამი კოსმოსური ობიექტის შექმნის ან მისი ავტორების შესახებ. თუმცა ასეთი ვითარების მიუხედავად რუსეთის პუბლიკაციებში მაინც მოიძებნება მასალები, რომლებიც მთლიანად წარმოაჩენენ კოსმოსური ობიექტის შექმნელებს და მისი შექმნის ადგილს – საქართველოს. ამის მაგალითების მოყვანა მრავლად არის შესაძლებელი.

უკრანალში «Новости космонавтики» №2 (229), 2002 წელს 67გვ. გამოქვეყნდა მ. პობედინსკაიას სტატია ”Новое предприятие по разработке больших антенн для К.А.” სათაურის ქვეშ განმარტებულია – Российско-грузинско-итальянская компания выигрывает тендер EKA/ESA ESTEC. Contract 15230/01/NLJSC. 2000/

სტატიაში აღნიშნულია, რომ «...რეფლექტორი, გეოსტაციონარულ თანამგზავრზე დადგმის მიზნით, დამუშავებული იყო ქართველი მეცნიერების მიერ პროფ. ე.ვ. მემარიაშვილის ხელმძღვანელობით. ექსპერიმენტი ეფუძნებოდა იმ სამუშაოებს, რომელიც ტარდებოდა საქართველოში, ჯერ კიდევ 80-იან წლებში, კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის საგურამოს ბაზაზე.

ტენდერში გამარჯვება მეტწილად იყო განპირობებული ექსპერიმენტ „რეფლექტორის“ წარმატებით ორბიტულ სადგურ „მირზე“.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის „რეფლექტორის“ საქართველოში, ქართველების მიერ შექმნის სანაცვლოდ, ავტორები ზოგჯერ მოხერხებულად იყენებენ ტერმინს რეფლექტორის „არასაბიუჯეტო“ სახსრების გამოყენებით შექმნის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ რეფლექტორის შექმნაში, რუსეთის სახელმწიფოს თანხები არ დახარჯულა და იგი შექმნა კერძო კომპანიამ, რომელიც ავტორების მიერ არ კონკრეტდება. ასეთი მიდგომით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა იური სემიონოვმა, ურნალ „Военный парад“-ის სექტემბერ-ოქტომბრის 2002 წლის 5 (53) ნომერში, 50-52 გვერდებზე გამოაქვეყნა სტატია „Мировой уровень качества, кратчайшие сроки создания“. სტატიაში აღნიშნულია: «... მსოფლიო დიდი რეზონანსი გამოიწვია სადგურ „მირზე“ რეალიზებულმა ექსპერიმენტმა – „რეფლექტორი“. არასაბიუჯეტო სახსრების გამოყენებით, შეიქმნა მსოფლიო კოსმონავტიკაში რეალური ანალოგიების არ მქონე, ექსპერიმენტული, დიდგაბარიტიანი, პარაბოლოიდური ანტენა დიამეტრით 6,4 მეტრამდე.

ეს შემუშავება ხსნის ფართო პერსპექტივებს ასეთი კონსტრუქციების გამოყენებისა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ინტერესებისათვის».

აკადემიკოსი ი. სემიონოვი თავის სამეცნიერო სტატიაში „Новые российские технологии в ракетно-космической технике поледних лет“, რომელიც 2000 წლის აგვისტოში, „Вестник Российской Академии Наук“-ის 70 ტომის, 696-709 გვერდებზე გამოქვეყნდა, წერს: «... „ენერგია“ და საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ჩამოაყალიბეს ერთობლივი საწარმო, რომელიც გამოსაშვებად ამზადებს დიდი დიამეტრის (6-დან 30 მეტრამდე) ავტომატურად გასაშლელ კოსმოსურ რეფლექტორებს, რომელთაც ანალოგიები არ გააჩნიათ მსოფლიოში. (ნახ.11) სხვათა შორის, ეს სამუშაო გვიხსნის გრანდიოზულ პერსპექტივებს არა მარტო დიდი დიამეტრის მზის კონცენტრატორების, არამედ, ასევე, ანტენების შესაქმნელად (ცხრილი 14).

აღნიშნული მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატიის მიმართ, მაინც დარჩა ტრადიციული შენიშვნები:

— სტატიის სათაურში სრულად არის მოხსენიებული „... ახალი რუსული ტექნოლოგიები ...“, როცა სტატიაში მაინც მოიხსენება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

- სტატიაში მითითებულ ნახაზ 11-ზე წარმოდგენილია პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომლის შემქმნელების შესახებ არაფერია აღნიშნული სტატიაში.
- სტატიაში მითითებულ ცხრილ 14 - ში განხილულია გარიანტები, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტისა, სადაც ასევე არ არის აღნიშნული საქართველო.

ზოგიერთ პუბლიკაციასთან შედარებით, მრავლისმთქმელია რუსეთის სარაკეტო-კოსმოსური კოორპორაცია “ენერგიას” გენერალური კოსნტრუქტორის მოადგილის, ქართულ-რუსული კომპანია “EGS”-ის პრეზიდენტის, იგორ ეფრემოვის ვრცელი შეფასება:

“სერგეი პავლეს ძე კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის „ენერგიის“ თანამშრომლობას პროფესორ ე. მემარიაშვილთან და მისი კოსმოსური ტექნიკისა და ტექნოლოგიების სპეციალისტებთან მტკიცე და სახელოვანი ტრადიციები აქვს.

ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებული სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო მთელი რიგი მნიშვნელოვანი აგრეგატების კოსმოსური ექსპერიმენტებისათვის დამუშავებასა და დამზადებაში მონაწილეობდა: კერძოდ, ორი ოცმეტრიანი რგოლური კონსტრუქციის გასაშლელად კოსმოსურ სატრანსპორტო ხომალდ „პროგრეს-40“-ზე და ორბიტალურ სადგურ „მირ“-ზე ფერმული კონსტრუქციის „საფორას“ აწყობაში.

მიუხედავად ოთხმოცდაათიანი წლების შუაგულში ერთობლივ სამუშაოებში წარმოქმნილი პაუზისა, სკკ „ენერგიის“ თანამშრომლებს შემოქმედებითი კავშირები საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტთან არ დაუკარგავთ, სადაც პროფესორ ელგუჯა მემარიაშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა მეცნიერული ბაზა, დამუშავდა და გამოიცადა მაღალი მახასიათებლების მქონე მთელი რიგი დიდგაბარიტიანი გასაშლელი სისტემები.

1998 წელს ს.პ. კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსურმა კორპორაცია „ენერგიამ“ და საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ დაარსებულმა კომპანიამ „საქართველოს პოლიტექნიკურმა ინტელექტმა“ დააფუძნეს ერთობლივი კომპანია „ენერგია-სპი-სპეისი“, რომლის მიზანი კოსმოსური საკომუნიკაციო სისტემებისათვის დიდგაბარიტიანი გასაშლელი რეფლექტორული ანტენების შექმნა იყო.

„ენერგია-სპი-სპეისმა“ სპკ „ენერგიასთან“ ერთად 1999 წლის ივლისში ორბიტალურ სადგურ „მირ“-ზე წარმატებით განახორციელა კოსმოსური ექსპერიმენტი „რეფლექტორი“. ამ ექსპერიმენტის დროს გაიშალა და გამოკვლეული იქნა ექსმეტრიანი დიამეტრის მქონე რეფლექტორის კონსტრუქცია, რომელიც შეიქმნა და დამზადდა ქართველი სპეციალისტების მიერ. ამ ექსპერიმენტის შედეგებმა დიდი ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტებს შორის. აღსანიშნავია ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეფლექტორთა კონსტრუქციების კონკურენტუნარიანობა, რომელთა ფართო გამოყენება სხვადასხვა ამოცანების გადაჭრაში მხოლოდ ახლა დაიწყო და დიდი პერსპექტივა აქვს. ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე „საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტი“, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, ს.პ. კოროლიოვის სახელობის სპკ კორპორაცია „ენერგია“ და იტალიური კომპანია „ალენია აეროსპაციო“ ამჟამად კოსმოსური ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე თავისი პროდუქციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით ატარებენ ერთობლივ სამუშაოებს, რასაც დიდ ყურადღებას უთმობს სპკ „ენერგიის“ პრეზიდენტი და გენერალური კონსტრუქტორი, რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი ი.პ. სემიონოვი.

გულოცავთ ქართველ კოლეგებს და მთელ საქართველოს 23 ივლისს მნიშვნელოვან თარიღს, როდესაც ორბიტალურ სადგურ „მირ“-ზე პირველად გაიშალა ქართული კოსმოსური კონსტრუქცია და მოხარულნი ვართ, რომ ამ დიდ საქმეში ჩვენც „თქვენი მეგობრები და კოლეგები, თქვენთან ვიდექით“.

ნიშანდობლივია, რომ რუსულ საიტზე – “Конструкторы ракетно-космических систем”, სადაც ჩამოთვლილია დარგის ცნობილი კონსტრუქტორები, მათ შორის ისეთი როგორებიც იყვნენ ციოლკოვსკი, კოროლიოვი და სხვები, ქართველებიდან მხოლოდ ორი პირვენების გვარი და სახელი იკითხება – ალექსანდრე ნადირაძე და ელგუჯა მემარიაშვილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კოსმონავტიკის დარგში აღიარებული, კემბრიჯის 2002 წლის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, კონფერენციის მოსაწვევებზე და წიგნად გამოცემულ სამეცნიერო მოხსენების კრებულის ყდაზე, ლოგოდ გამოსახული იყო, პირველი, ქართული კოსმოსური ობიექტი ორბიტაზე ფრენის მომენტში.

საორგანიზაციო კომიტეტის მადლობის წერილმა ელგუჯა მემარიაშვილამდე ძალიან გვიან მიაღწია. მიზეზი ადრესატის ადგილმდებარეობის არასწორი მითითება იყო.

რას იზამ, ვინაიდან რეფერენტმა, რომელმაც წერილი მოამზადა, ჩათვალა, რომ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების – ჯორჯიის პროფესორს თუ შეეძლო შეექმნა ასეთი აღიარებული კონსტრუქცია და წერილის გამოგზავნის მისამართზე – Georgia-ს მიაწერა USA.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ იყო მცდელობები ოდნავ მაინც დაეფარათ სიმართლე, ასევე ისიც, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ იყო სრულად წარმოჩენილი მსოფლიო არენაზე კოსმოსური ტექნოლოგიების დარგში, აღიარება მაინც მოხდა. ამის პირველი მინიშნება იყო თუნდაც ის მილოცვები, რომლებიც საქართველომ საზღვარგარეთიდან მიიღო კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაშვების მე-3 წლისთავზე, და რომლებიც გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” 2000 წლის 23–24 ივლისის №197-198-ში გამოქვეყნდა. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:

“მსურს გულითადად მოგიდოვოთ თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ეს შესანიშნავი წარმატება. ამით საფუძველი ჩაეყარა გასაშლელი ანტენების სისტემათა ახალ თაობას და დამტკიცდა ახალ კონსტრუქციათა სრულყოფილება და მუშაობის საიმედოობა.

გრანდიოზულია იმის წარმოდგენა, რომ კოსმონავტები ანტენას ჩამოაცილებენ სადგურ „მირ“-ს და გადაიყვანენ მას დამოუკიდებელ ორბიტაზე. მაგონდება ის დღეები, როცა მთელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული უკურნებდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გახსნას კოსმოსურ სადგურ „მირ“-ზე”.

დოქტორი, პროფესორი იოაკანეს ზემლერი  
“დაიმლერ ბენცი”  
(დედანის ტექსტი გერმანულია).

---

“კონსტრუქციული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ძალზედ შთამბეჭდავია ის, რომ ხუთი დღის შემდეგ გაშლა გაგრძელდა და ის დასრულდა გაშლილი რეფლექტორული ანტენის სახით”.

ვან კლოსტერი  
ევროპული კოსმოსური სააგენტოს ანტენების განყოფილება  
(დედანის ტექსტი ინგლისურია)

---

“კომპანია „ალენია აეროსპაციო” ექსპერიმენტ „რეფლექტორი”-ს ჩატარებას მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევს. ამ ექსპერიმენტმა დაგვანახა პროფესორ ე. მექმარიაშვილის, როგორც შემოქმედისა და გამომგონებლის მაღალი დონე. კოსმოსურ სადგურ „მირ”-ზე მყოფმა მფრინავმა სისტემამ, აგრეთვე გვიჩვენა ქართული ინტელექტის მიერ მიღწეული დიდი წარმატება”.

არნოლდო კაპუცი და ლორენცო შალინო  
„ალენია აეროსპაციო”  
(დედანის ტექსტი იტალიურია)

---

“მირ”-ზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ პროფესორ მექმარიაშვილისა და მისი გუნდის მიერ საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში შემუშავებული ნოუ-ჰიუ მხოლოდ თეორია არ არის. სწორედ კოსმოსის პირობებში პრაქტიკულმა გამოცდამ დაგვანახა, რომ დიდი სიზუსტის მქონე მსუბუქი კონსტრუქციების მომავალი მხოლოდ ახლა დაიწყო..”

დოქტორი კლაუს-დიტერ ბერგნერი  
“დაიმლერ-ბენც აეროსპეისი”  
(დედანის ტექსტი გერმანულია)

---

“ვულოცავთ ქართველ კოლეგებს და მთელ საქართველოს 23 ივლისის მნიშვნელოვან თარიღს, როდესაც ორბიტალურ სადგურ „მირ”-ზე პირველად გაიშალა ქართული კონსტრუქცია. მოხარული ვართ, რომ ამ დიდ საქმეში ჩვენც, თქვენი მეგობრები და კოლეგები, თქვენთან ვიდექით.”

იგორ ეფრემოვი  
სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური  
კორპორაცია „ენერგია”-ს გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე,  
„ენერგია-GPI-სპეის”-ის პრეზიდენტი.  
(დედანის ტექსტი რუსულია).

---

“ქართველმა პარტნიორებმა შთამბეჭდავად მოკლე დროში დაასრულეს გასაშლელი რეფლექტორის აგება და მოახდინეს მისი წარმატებული გაშლა”.

ვერნერ პაინცმანი  
„დორნიე სატელიტენსისტემე”  
(დედანის ტექსტი ინგლისურია)

---

“თქვენი კოსმოსური ექსპერიმენტით, თქვენ და თქვენმა კოლექტივმა, კიდევ ერთხელ გაუსვით ხაზი დიდგაბარიტიანი გასაშლელი რეფლექტორების დარგში,

თქვენს დიდ უნარს. თქვენ აჩვენეთ – რისი მიღწევა შეიძლება შესაბამისი ცოდნისა და ნებისყოფის არსებობის შემთხვევაში”.

პროფესორი პორსტ ბაიერი  
მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქ  
კონსტრუქციათა კათედრის გამგე,  
საავიაციო და კოსმოსური ფრენის ინსტიტუტის დირექტორი  
(დედანის ტექსტი გერმანულია)

---

ქართველი და უცხოელი მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების ასეულობით წერილში, რომლებიც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის წარმატებულ გამოცდას უკავშირდება, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გურამ გაბრიჩიძის შეფასება – “ამ ექსპერიმენტს მთელი მსოფლიო აკვირდებოდა. ასეთი დიდი აუდიტორია ქართული საინჟინრო აზრის არც ერთ პროდუქციას არ ჰყოლია. თქვენი ექსპერიმენტი ძალიან საჭირო დროს ჩატარდა, მან შეახსენა შინაურსაც და გარეულსაც, მთელს მსოფლიოს, რომ ქართველ მეცნიერებსა და ინჟინერებს უმაღლეს დონეზე შეუძლიათ აზროვნება და შემოქმედება. მნიშვნელოვანია, რომ ეს განცხადდა “უმაღლესი საერთაშორისო ტრიბუნიდან” – კოსმოსიდან”.

---

ასევე მნიშვნელოვანია, ელგუჯა მემარიაშვილის მეგობრის, მაიერ ლანდრუტის მოლოცვა:

ძვირფასო, ბატონო ელგუჯა!

ჩვენ უდიდესი ინტერესით და მღელვარებით ვნახულობდით ყველა რეპორტაჟს ექსპერიმენტებისა თქვენი ანტენის გაშლისა კოსმოსურ სივრცეში ...

... ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ ექსპერიმენტი წარმატებით ჩატარდა და გილოცავთ ამას მთელი გულით.

(დოქტორი მაიერ-ლანდრუტი 80-იანი წლების ბოლოს იყო გერმანიის ფალკონული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში).

---

შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა ევროპულ კომპანიებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, ცალკეულ პიროვნებებთან და ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსთან – “ESA”-სთან, ამ მოღვაწეობის პერიოდში ელგუჯა მემარიაშვილმა, როგორც დარგის მსოფლიოში წარმოჩენილმა საეციალისტმა მრავალი შეფასება დაიმსახურა:

“... მისმა ინოვაციურმა სამუშაოებმა ათეული წლების განმავლობაში საერთაშორისო კოსმოსურ საინჟინრო პროგრამებში უდიდესი ყურადღება დაიმსახურა. ეს მოიცავდა ქართული პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებას

ისეთი საერთაშორისო პარტნიორებისათვის, როგორიც არის გერმანიის “Daimler-Benz Aerospace”, იტალიის “Alenia Spazio” და რუსეთის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია „ენერგია”. ასევე, უნდა აღინიშნოს მსოფლიოში ცნობილ კოსმოსურ სადგურ „მირზე“ დიდი გასაშლელი რეფლექტორული ანტენის წარმატებული გამოცდა 1999 წელს.

ჩვენ ვთანამშრომლობდით მსუბუქი გასაშლელი კოსმოსური კონსტრუქციების განვითარებაზე, მათ შორის არის მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეკრულება ევროპულ კოსმოსურ სააგნეტოს საქმიანობისათვის.

ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა ვწვეოდით საგურამოს ბაზას და მოგვეცა საშუალება სრული წარმოდგენა მიგველო ძალისხმევისა და მიღწევების სიდიდეზე.

ჩვენ სიამოვნებით შეგვიძლია გთქვათ, რომ ელგუჯასა და მისი გუნდის შემოქმედებითობა და პროდუქტიულობა მტკიცედ უჭერს მხარს საერთაშორისო პროგრესს დიდი კოსმოსური გასაშლელი კონსტრუქციების განვითარებაში ...”

### დოქტორი ჯულიან სანტიაგო პროვალდი

TEC-MSS კონსტრუქციების სექცია  
ევროპული კოსმოსური სააგენტო / ESTEC

“... პროფ. მემმარიაშვილმა თავის მკვლევართა გუნდთან ერთად განახორციელა რამდენიმე საერთაშორისო კვლევითი პროექტი, როგორც დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორების წამყვანი მეცნიერება. ეს კვლევები ფინანსდებოდა და კვლავ ფინანსდება ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ.

ის იყო მთავარი სამეცნიერო ორგანიზაციონი სამეცნიერო კონფერენციებისა დიდი გასაშლელი კონსტრუქციების დარგში, რომელიც ჩატარდა თბილისში.

ჩემი ვარაუდით მისი საქმიანობის უმაღლეს მწვერვალს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კოსმოსურ სადგურ «მირზე» წარმატებული გაშვება და გაშლა წარმოადგენდა. ამ მოვლენის ვიდეო და დოკუმენტური მასალა იყო და კვლავ არის აღიარებული საერთაშორისო კოსმოსური თანამეგობრობის მიერ.

ეს წარმატებული სამუშაო მხოლოდ თეორიული კვლევებით არ მიიღწევა. ექსპერიმეტული კვლევების დიდი ლაბორატორია, რომელიც პროფესორ მემმარიაშვილის მიერ არის შექმნილი, ამ წარმატებული სამუშაოების მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს და ნოვატორულადაც შეიძლება ჩაითვალოს ...”.

### \* პროფესორი, დოქტორი, ინჟინერი პორსტ ბაიერი \*

\* პროფესორი პორსტ ბაიერი ევროპაში აღიარებული ექსპერტია დიდგაბარიტიან კოსმოსურ და მიწისზედა კონსტრუქციების დარგში. იგი ჯერ კომპანია “Daimler-Benz Aerospace”-ში მუშაობდა, სადაც მონაწილეობდა გერმანული 60 მეტრი მაღლის მქონე, გასაშლელი ხიდის შექმნაში, რომელიც მიღწევად არის აღიარებული მსოფლიოში. შემდეგ იგი მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე და იმ ინსტიტუტის დირექტორია, რომელსაც XX საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი ავიაკონსტრუქტორი – ვილი მესერშმიტი ედგა სათავეში. 2017 წელს პროფესორი პორსტ ბაიერი არჩეული იქნა საქართველოს მეციერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად.

“... პროფესორი მექმარიაშვილი განსაკუთრებით ცნობილი გახდა 1999 წელს რეფლექტორის წარმატებული გაშლის შემდეგ და ის აღიარებულ იქნა როგორც მსგავს კონსტრუქციათა ტექნოლოგიების ერთ-ერთი საუკეთესო ექსპერტი.

ალენია სპაციო, იტალიის კოსმოსური სააგენტო და ევროპული კოსმოსური სააგენტო დაინტერესებულნი იყვნენ პქონოდათ წედომა დიდი გასაშლელი რეფლექტორის ტექნოლოგიაზე, რომელიც განთავსდებოდა სატელეკომუნიკაციო თანამგზავრზე.

პროფესორ მექმარიაშვილთან ერთად მუშაობამ აშკარა გახადა რომ რეფლექტორის ექსპერიმენტი სადგურ მიღზე იყო მისი კველევების წარმატებული ნაბიჯი და დიდი გასაშლელი კონსტრუქციების ტექნოლოგიებზე მისი საინჟინრო ხედვა და აღქმა გამორჩეული იყო.

ჩემთვის კარგად არის ცნობილი რომ შემდგომ წლებში პროფესორმა მექმარიაშვილმა გამოიგონა და შეიმუშავა დიდი გასაშლელი რეფლექტორების ისეთი გამორჩეული კონსტრუქციები, რომლებიც საქართველოს გარეთ არის სამაგალითოდ აღებული შემდგომი განვითარებისთვის.


მისი წიგნი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები, რომელიც ამ კომპლექსებს და რთულ ტექნოლოგიებს ეხება, არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტი მსოფლიოში. ამ წიგნის თარგმნა გახდება მექანიკური ინჟინერიის ამ კონკრეტული სფეროს მსოფლიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილი ...”

**დოქტორი, ინჟინერი ლორენცო შალინო**

ელგუჯა მექმარიაშვილის მოღვაწეობის შედეგები ვრცლად აისახა დოკუმენტში, რომელიც ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ 2010 წელს გამოსცა –

## **LARGE REFLECTOR ANTENNA WORKING GROUP**

### **EXECUTIVE SUMMARY**



prepared by/préparé par

Cyril Mangenot (D/TEC-EEA), Julian Santiago-Prowald (D/TEC-MSS), Kees van 't Klooster (D/TEC-EEA), Nelson Fonseca (D/TEC-EEA), Lucio Scolamiero (D/TEC-MSM), Francesc Coromina (D/TEC-ETP), Piero Angeletti (D/TEC-ETP), Monica Politano (D/TEC-SB), Carlo Elia (D/TIA), Dietmar Schmitt (D/TIA), Manfred Wittig (D/TIA), Florence Hélrière (D/EOP-F), Marco Arcioni (D/EOP-SFP), Marina Petrozzi (D/TEC-SGH), Miguel Such Taboada (D/TEC-MSS)

reference/référence

TEC-EEA/2010.636/CM

issue/édition

1

revision/révision

1

date of issue/date d'édition

14 September 2010

status/état

Released

Document type/type de document

Technical Note

Distribution/distribution

European Space Agency

Agence spatiale européenne

წარმოდგენილ ანგარიშში ელგუჯა მექმარიაშვილის კვლევების შედეგები და რეალურად შექმნილი ახალი კონსტრუქციული სისტემები მრავალ ადგილას არის მოხსენიებული და დეტალურად გარჩეული, დოკუმენტში წარმოდგენილია ცხრილი სადაც ნაჩვენებია, თუ რომელმა ქვეყანამ და როდის შექმნა დიდი ზომის გასაშლელი რეფლექტორები. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ჩამონათვალში მოხსენიებულია აშშ, იაპონია, რუსეთი და საქართველო. ეს ის ქვეყნებია, რომლებმაც შეძლეს რეალიზება დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორების. ასევე საინტერესოა და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათ შორის ყველაზე დიდი, მსოფლიოში რეალიზებული, 30მ დიამეტრის მქონე კონსტრუქცია მხოლოდ ქართველებს გააჩნიათ, რომ არაფერი გთქვათ პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტზე.

ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ 2016 წელს გამოსცა “გზამკვლევი” დიდი ზომის გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორების დამზადებასთან დაკავშირებით, სადაც ჩამოთვლილია ის ორგანიზაციები რომელთაც შესწევს უნარი კოსმოსური

ტექნოლოგიების რეალიზაციისა. ამ ორგანიზაციებს შორის დასახელებულია საქართველოც.

ელგუჯა მემარიაშვილის სამუშაოებმა და ავტორიტეტმა განაპირობა ის, რომ საქართველოში და საქართველოს ეგიდით საზღვარგარეთ, ბოლო 20 წელიწადში “ESA”-მ ჩატარა 5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დიდგაბარიტიანი კოსმოსური ტექნიკის დარგში.

2018 წელს ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელსაც 16 ქვეყნის 55 უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერი და კონსტრუქტორი ესწრებოდა. კონფერენციის მონაწილეებმა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანიდან მოახლოებულ მე-20-ე წლისთავთან დაკავშირებით მიიღეს რეზოლუცია, რომლის თარგმანს წარმოგიდგენთ:

**ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი – “კოსმოსური მსუბუქი კონსტრუქციები და რეფლექტორული ანტენების” დარგში, თბილისი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა მიერ მიღებული**

### რეზოლუცია

2019 წლის 23 ივლისს სრულდება 20 წელი მას შემდეგ, რაც დაიწყო საქართველოში შექმნილი - პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის, დია კოსმოსურ სივრცეში, ორბიტულ სადგურზე გამოცდა, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ, 28 ივლისს კოსმოსური ობიექტი ჩამოსცილდა სადგურს და დამოუკიდებელ ორბიტაზე გადავიდა.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, როგორც ფაქტი და მოვლენა, საქართველოს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, რაშიც გადამწყვეტი გახდა პროფესორ ელგუჯა მემარიაშვილის მიერ, კოსმოსური ტექნიკის დარგში შექმნილი ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულება.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნით და მისი წარმატებული გაყვანით კოსმოსურ ორბიტაზე, საერთაშორისო არენაზე წარმოჩნდა საქართველოს პოტენციალი დიდ პრობლემებთან შეჭიდებისა და მათი წარმატებით გადაწყვეტისა.

ორბიტულ სადგურ “მირზე”, კოსმონავტების ინტერნაციონალური ეკიპაჟის მიერ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – დიდგაბარიტიანი რეფლექტორის ორბიტაზე გაშლის, ჩატარებული ექსპერიმენტები და მისი კოსმოსში ფრენის შედეგები და მაღალი ხარისხის ვიდეო და ფოტო დოკუმენტები, დღესაც რჩება მნიშვნელოვან მასალად კოსმოსის ათვისების სფეროში, რაც საერთაშორისო მასშტაბით, პროგრესის გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ვულოცავთ საქართველოს და მსოფლიოში აღიარებულ, ქართველ სპეციალისტებს მიღწეულ დიდ გამარჯვებას, მით უმეტეს, რომ მათი წვლილი და გავლენა კოსმოსური ტექნიკის განვითარებაში დღესაც მნიშვნელოვანია.

საერთაშორისო სამუცნიერო კონფერენციის მონაწილენი.

საქართველო. თბილისი. 2018 წლის 21 სექტემბერი. სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის საკონფერენციო დარბაზი.

რეზოლუციის პროექტი კონფერენციის მონაწილეებს, პირველ სხდომაზე, 19 სექტემბერს წარუდგინა პროფესორმა პორსტ ბაიერმა. ბოლო სხდომაზე, 21 სექტემბერს, რეზოლუციის დაზუსტებული ვარიანტი მონაწილეებს გააცნო კის ვანტ კლოსტერმა. 16 ქვეყნის 55-მა და საქართველოს 20-მა მეცნიერმა რეზოლუციის მიღებას ერთხმად დაუჭირა მხარი.

----- . -----

საინტერესო ფაქტია ის, რომ 2019 წლის 3 იანვარს გაზეთ “თაობაში” ნათია ხურცილავამ გამოაქვეყნა ინტერვიუ პროფესორ სოსო ცინცაძესთან, ინტერვიუში ის ამბობს: “... ერთხელ დიპლომატიურ აკადემიაში ამერიკის ელჩი გვყავდა მოწვეული. ამერიკის ელჩმა სრულიად არადიპლომატიურად გვითხრა, ძალიან გამკვირვებია თქვენი, როგორ შეიძლება ელგუჯა მემარიაშვილის დონის მეცნიერი გყავდეთ და პარლამენტში აცდენდეთო. ჩვენი მეცნიერების მიერ გამოგონილი კოსმოსური ანტენა 4-5 მეტრის რადიუსში იჭერს, მის მიერ გამოგონილი კი 10-12 მეტრის რადიუსში ...”.

ელგუჯა მემარიაშვილის შემოქმედების გზაზე წინსვლისას, სამუშაოების და მისი შედეგების აღიარების გარდა, ზოგიერთი ქართველის მიერ, კანტი-კუნტად იყო მცდელობები მათი გაუფერულებისა.

ამის საპასუხოდ მინდა გავიხსენო პოეტ ჯანსუდ ჩარკვიანის ლექსი, რომელიც 2003 წლის 30 ივლისს გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოქვეყნდა:

### სინათლე თანამზაპრისა

ელგუჯა მემარიაშვილს

ყველაფერი გულს ეთქმის,  
უნდა გულს უყვარდე,  
მე არ ვამბობ, რუსს-მეთქი,  
შენ რომ სომეხს ჰყავდე,

დედამიწას დაშლიდა,  
სიყვარულით დღეთა,  
აგიყვანდა ცაში და  
დაგტოვებდა ღმერთობა.

ჩვენთან კაცი ვის ახსოვს,  
რა ეშმაკად დირხარ?  
არცა გცნობენ ძვირფასო,  
არც იციან ვინ ხარ.

მისხალ-მისხალ-მისხალო,  
შხამს ბოროტი მალავს,  
“არა, არ გაიხსნაო” –  
უხაროდა მავანს.

ბოლოს, ლოცვად გაისმა –  
ისიც, მისხალ-მისხალ,  
მაინც, მაინც გაიხსნა –  
დაამარცხა რისხვა.

ცაში მდერის სიმართლე  
შენი დიდი ქვეყნის,  
მჯერა, უფლის სინათლე  
ერთ დღეს ერთად შეგვყრის.

ეროვნული განძისა  
სიუგარული შეგვკრავს,  
რეკავს ზარი ტაძრისა,  
რეკავს, რეკავს, რეკავს!

ჯანსულ ჩარკვიანი  
2003 წ. 30 ივლისი.

დასკვნის სახით ელგუჯა მემარიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ:  
“მიუხედავად იმისა, თუ რომელ სამეცნიერო დარგში მოღვაწეობს ინჟინერი, მისი წარმატებების და აღიარების შეფასების უმთავრესი და უტყუარი კრიტერიუმია მის მიერ შექმნილი კონსტრუქციები, ნაგებობები, კომპლექსები და სისტემები რომლებმაც დადებითი წვლილი შეიტანეს სამეცნიერო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროგრესში და, რაც უმთავრესია გამოადგა ხალხს და ქვეყანას”.

მნიშვნელოვანია ელგუჯა მემარიაშვილის ბიბლიოთეკაში არსებული ის წიგნები, რომლებიც მას საჩუქრად გადაეცა. ისინი ძალიან ბევრია. საინტერესოა ამ წიგნებზე ავტორების მიერ გაკეთებული წარწერები. მინდა მათგან რამოდენიმე წარმოგიდგინოთ:

1978 წელს, გენერალური შტაბის აკადემიამ გამოსცა საბჭოთა კავშირის გმირის, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის, გენერალ-ლეიტენანტ გრიგორი სამოილოვის წიგნი “სამხედრო საინჟინრო ხელოვნების განვითარება უძველესი დროიდან დღემდე”.

გრიგორი სამოილოვის გენერალის აკადემიაში, სამხედრო საინჟინრო ციკლის უფროსი იყო. მას სამხედრო საინჟინრო ხელოვნების “პატრიარქი” უწოდებდნენ.

1979 წელს ელგუჯა მემარიაშვილი, თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო კომიტეტის უფროსის მიერ, მივლინებული იყო გენერალის აკადემიაში, სადაც იგი გენერალ-ლეიტენანტ სამოილოვის ციკლში მუშაობდა ახალი ტიპის სამხედრო ხიდის შესაქმნელად, რომელსაც მისი გამოგონება ედო საფუძვლად. სწორედ ამ პერიოდში გრიგორი სამოელოვისმა აჩუქა მას წიგნი მინაწერით “Элгуджа Медзмариашвили с чувством глубочайшей симпатии и с пожеланиями успехов на поприще науки, счастья в жизни – Г. Самоилович. 21 апреля 1979 г., г. Москва”.

ელგუჯა მემარიაშვილი, მის შესახებ, თავის წიგნში “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი” იგონებს: «გრიგორი სამოილოვის ადგა და მომმართა - “ელგუჯა ვიქტორის ძევ, შენ სამხედრო ინჟინერი ხარ. დღეს შენ თავდაცვის საინისტრომ და რადიომრეწველობის სამინისტრომ დიდი ნდობა გამოგიცხადა და კოსმოსური დიდგაბარიტიანი კონსტრუქციის შექმნა დაგევალა. მე მჯერა შენი. შენ დასახულ ამოცანას შეასრულებ - ოდონდ გახსოვდეს, საბოლოოდ ნუ დაგავიწყდება სამხედრო-საინჟინრო დარგი. შენ უნდა განავითარო საქართველოში ეს უძველესი და მარად ახალგაზრდა დარგი. თქვენ - ქართველებს, ამის უნარი, ძალა და, რაც მთავარია, სასახელო ტრადიციები გაქვთ. ყოველთვის გახსოვდეს ეს და იმოქმედე”.

ძნელია დღეს შეაფასო ეს სიტყვები, რომელიც გენერალ ლეიტენანტმა გრიგორი სამოილოვისმა ჩემს მიმართ მეორეჯერ წარმოთქვა. რა იყო ეს –საბჭოთა პერიოდისათვის ნათქვამი, თუ უფრო შორს მიმავალი აზრები? – არვიცი. ეს კითხვა ყოველთვის მებადება და რაც დრო გადის, იქეთკენ ვიხრები, რომ გრიგორიმ მოვლენებს გაუსწრო წინ და თავისი საოქმელიც ამ ლოგიკას დაემორჩილა».

ერთ-ერთი წიგნი, იმ მრავალთაგან, რომელიც ელგუჯამ მაჩვენა, ეპუთვნის დირსეულ ქართველს, ვახტანგ ვაჩნაძეს. წიგნი რუსეთში, რუსულ ენაზეა გამოცემული, მაგრამ მასზე მინაწერი ბატონ ვახტანგს ქართულად გაუკეთებია – “ძვირფას ელგუჯას კოსმოსის ათვისების საქმეში ხანგრძლივი და ერთობლივი მუშაობის აღსანიშნავად.” ვ. ვაჩნაძე 04.10.2003 წ.

ბატონი ვახტანგ ვაჩნაძე იყო კოსმოსური ტექნიკის შექმნის მრეწველობის – კოსმოსური ტექნიკის ინდუსტრიის ლიდერი. მან სამსედრო-სამრეწველო კომპლექსში, დაწყებული სერგეი კოროლიოვიდან, განვლო სასახლო გზა, კორპორაცია “ენერგიის” გენერალურ დირექტორამდე.

მიმაჩნია, რომ მისი ხსოვნა ქართველებისაგან უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს.

ელგუჯას ბიბლიოთეკაში წიგნების თვალიერებისას ყურადღება მიიქცია შესანიშნავად დასტამბულმა, დიდფორმატიანმა, ფერადმა გამოცემამ, რომელზეც უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა იყო გამოსახული. წიგნის სათაური იყო – «Ракетчик, ставший президентом». როდესაც ელგუჯას ვკითხე, თუ რა აკავშირებდა მას ამ წიგნთან, მან წარსულში საბჭოთა კოსმონავტიკის ერთ-ერთი მესვეურის ლეონიდ კუჩმას შესახებ საინტერესო ამბავი მოყვა. შემდეგ წიგნი გადაშალა და მასზე გაკეთებული წარწერა მაჩვენა – «Уважаемому Элгудже Викторовичу! В память о совместной работе с академиком А.И. Савиным. Счастье и процветание нашим городам. Л. Кучма. 29.10.2018 г.».

ელგუჯა მემმარიაშვილის სამუშაოების შედეგების ფონზე, საინტერესოა მისი ზოგიერთი მოგონება:

«მახსოვს, ერთსი მანჯგალაძის სახელობის რადიოსტუდიაში, ერთ-ერთი გადაცემის ჩაწერაზე ვიყავი მიწვეული. მრავალ დირსეულ პიროვნებას შორის სტუდიაში ბატონი კოტე მახარაძეც გახლდათ. გადაცემის ჩაწერის დაწყებამდე მან მოულოდნელად მკითხა – ბატონო ელგუჯა, მაინც რას გრძნობდით, როდესაც, ერეკლე მეფის არ იყოს, მთელი საქართველოს პასუხისმგებლობა დაიკისრეთ და უკიდებანო კოსმოსში ქართველების სახელით პირველი ნაკეთობა გაუშვითო.

მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემი პასუხი – ბატონო კოტე, თქვენი ხმა ჩამესმოდა. საქვეყნოდ აღიარებულ ხელოვანსა და სპორტულ კომენტატორს რეაქცია არ დაუგვიანებია და შეუჩერებლივ მეორე შეკითხვა დამისვა – მე რა შეაში ვიყავიო.

ჩემი პასუხი, ამჯერად, სრული და სრულიად მართალი გახლდათ – ბატონო კოტე, როდესაც დადგა წუთები, ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გატანისა, თქვენი ხმითა და სიტყვებით ჩამესმოდა და აღიწერებოდა ყოველივე – “გამორბენი, დარტყმა – არის!”

მას გაედიმა. მასხრობით აღნიშნა, რომ არ იცოდა თუ ასეთი დიდი წვლილი მიუძღვოდა ქართველების კოსმოსურ ოდისეაში. მერე, ბატონი კოტე ჩაფიქრდა.

მცირე პაუზის შემდეგ, ჩვეული ლაკონური რიტორიკით და დამაჯერებლობით, მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი კომენტარი გააკეთა – ქართველებმა კოსმოსში წარმატებით ფეხბურთის მოედანზე კი არა მსოფლიო ცივილიზაციის არენაზე, ინტელექტუალური გამარჯვება მოიპოვა, რაც ნებისმიერი ერისათვის ყველაზე საპატიო და ძნელად მისაღწევი ტრიუმფიაო. ეს სიტყვები დღესაც მახსოვს. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გაზარდა პასუხისმგებლობა პროფესიული მოვალეობისა და ქვეყნის სამსახურისა, რაც უკვე სამამულო სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებით მქონდა დასახული.

ბატონ კოტევთვის კიდევ მქონდა სათქმელი, რომელიც აღარ ვუთხარი მას, როდესაც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ტრიუმფით ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო ფრენა უკიდეგანო კოსმოსში, ჩამესმა მისი სიტყვები – ”Ликует столица Грузии”.

«ტელევიზიის შენობაში სახელოვან ქალბატონს, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძეს ვესაუბრებოდი. მოხდა ისე, რომ ჩვენ შემოგვიერთდა უერნალისტების ჯგუფი, რომლებმაც დიდი ცნობისმოყვარეობით “შეკითხვების სეტყვა” დამაყარეს კოსმოსური რეფლექტორის შესახებ. საუბარში ქალბატონი მარიკა ჩაერთო და მისთვის დამახასიათებელი აკადემიურობით განაცხადა – თავი დაანებეთ ბატონ ელგუჯას – პირველი ქართული კოსმოსური ქმნილება მისი გენერალური კონსტრუქტორის საკუთრება აღარ არის. ის უკვე საქართველოს ისტორიის საკუთრებაა და ჩვენი – ისტორიკოსების კომპეტენციას განეკუთვნება».

«კახეთში, წინანდალში ჭავჭავაძეების სასახლეში, კახური ტრადიციით გამართულ მიღებაზე, შუა ლხინში, როცა გრძნობები ნაღდია და აღტყინებული, მაგრამ არა ზღვარგადასული, კახელმა კაცმა, ღვინით სავსე ფიალით ხელში, ყველას გასაგონად მომმართა – “როდესაც მთელი კახეთი ქართველების კოსმოსში გამარჯვებას ტელევიზორში ვხედავდიოთ, ჩვენს მიწა-წყალზე კიდევ ერთმა გამარჯვებამ იზეიმა – იმ წუთებში, თქვენმა მიღწევამ ქართველები სიამაყისა და დირსების შეგრძნებით გააერთიანა, რაც იშვიათად ხდება, და რაც ასე სჭირდება ჩვენს ხალხს”».

«XX საუკუნის დამთავრებას წამებიდა აკლდა, საახალწლო სუფრასთან მსხდომი – მთელი საქართველო ტელევიზორს შესცემოდა და მაშინ, როდესაც ეკრანზე საათის ისარი 12 საათს აჩვენებდა, XXI საუკუნის პირველ წამებშივე ცისფერ ეკრანზე წარმოჩნდა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი,

რომელიც ”ჩაკრულოს“ თანხლებით, გამარჯვებული ელფერით, მიფრინავდა უკიდებანო კოსმოსში. მაშ ასე, სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე საქართველოსთვის XXI საუკუნე, ქართველთა ნიჭის, ცოდნის, შრომისა და გამარჯვების სიმბოლოს – ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე ლადი და ლამაზი ფრენის კადრებით დაიწყო. ამ გადაცემის ავტორი იყო ბასა ფოცხიშვილი.

ჩემთვის ეს იყო განუზომელი ემოციის ამაღლებული ტალღა, აღსავსე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობით».

ელგუჯა მემარიაშვილის პიროვნული ხასიათის წარმოსადგენად შეიძლება განვიხილოთ ნაწყვეტი მისი ჩანაწერებიდან:

• «ბათუმში ზღვის ცა ტყვიისფერი, მძიმე ღრუბლებით გადაივსება და იწყება წვიმა. წვიმს გადაუდებლად, თითქოს ციდან კოკებით ასხამდნენ წყალს. ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ მზიანი ამინდი აღარასდროს დადგება.

ასეთ დროს, განმარტოებისა და წვიმაში სეირნობისას, დიდი ოცნებები და ფიქრები გაგიტაცებს. ეს ის მოგონებებია, რომელიც პირვანდელი სახით შემომრჩა ბათუმიდან.

უცნაურია არა, როდესაც “ზღვის ცას” ვამბობ, მაგრამ ამ ტერმინს აქვს თავისი განსაკუთრებული დატვირთვა. “ზღვის ცა” განსხვავდება ხმელეთის ზემოთ მდებარე სივრცისაგან. ახლაც, როდესაც ვმგზავრობ დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით ღრუბლიან ამინდში ცას ვუყურებ, გუმანით ვხვდები სად იწყება ზღვა».

• “საერთოდ, ზღვა დიდი ფენომენია. განსაკუთრებულია ცხოვრობდე ზღვის პირას. არ ვიცი, როგორ ხდებოდა ეს, მაგრამ, როდესაც ზღვას შევხედავდი და ცას გავხედავდი, იმის მიხედვით თუ საით უბერავდა ქარი, უნებურად, ყოველთვის თითქმის შეუცდომლად ვხვდებოდი, როგორი ამინდი იყო მოსალოდნელი ბათუმში”.

• “ზღვა უმეტესობას ზაფხულში იზიდავს. მე კი, ზღვა გვიან შემოდგომასა და ზამთარში მირჩევნია. დგახარ ზღვის პირას მარტო და აზვირთებული ტალღები შენ წინ ეხეთქება დედამიწას. ამ დროს პაერში სველი, მარილიანი, მათრობელა იოდნარევი სურნელია. ასე საათობით შემეძლო დგომა და ზღვის ცქერა.

დღესაც მენატრება ასეთი ზღვა, ასეთი ამინდი და ის დრო, როდესაც ზღვას მარადისობის გრძნობით შევყურებდი”.

• «არ იყო იოლი საქართველოში დამეარსებინა, მანამდე ჩვენთან სრულიად უცნობი და ახალი – კოსმოსური ორბიტული ნაგებობის შექმნის სამეცნიერო-ტექნიკური დარგი და ორბიტაზე წარმატებით გასულიყო ისტორიაში პირველი

ქართული კოსმოსური ობიექტი, მოგვიანებით კი, შევდგომოდი სამამული სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებას. მით უმეტეს, რომ ცხოვრების რეჟიმი და ტემპი არ მაძლევდა საშუალებას, თუნდაც ორი ან სამი ათეული წლის წინ, დავით ქრებაშვილიყავი იმაზე თუ რა ძვირფასია ადამიანის ცხოვრებაში ახალგაზრდობის წლები და შემეგრძნო მათი სიდიადე.

მიუხედავად ამისა, ჩემი გასაკეთებელი საქმე არასდროს დამივალებია სხვისთვის და არც სხვისი დამისაკუთრებია. ასეთი ტვირთი უშედავათო სვლისათვის მძიმე სატარებელი იყო, მაგრამ ყოველთვის მაინც სიმსუბუქეს ვგრძნობდი, ვინაიდან, როგორც მეცნიერს, ორგანიზატორს, კონსტრუქტორსა და გამომგონებელს, შემოქმედების გზაზე არავისი ვალი არ მქონია, გარდა განგებისა, რომელმაც ყოველი ასე ინება».

• «ზღვის სანაპიროზე, როდესაც ხმელეთის კიდეზე მდგარი მარტო დარჩები ზღვასთან, კვლავ იწყებ ფიქრს და გასული წლების განსჯას. ეს მაშინ ხდება, როდესაც რაღაც ასაკობრივ ზღვარს გადააბიჯებ.

საინტერესოა არა, როგორ თავისით რეგულირდება ფიქრების მიმართულება. ბავშვობასა და ახალგაზრდობაში სულ მომავალსა და პერსპექტივაზე ხარ ორიენტირებული. როცა “წლებში შედიხარ” უკვე გასული დროის შეფასებას იწყებ, თუნდაც წინ დარჩენილ დროში კვლავ საინტერესო ცხოვრება გელოდეს. სწორედ ეს არის გაქრობა იმ მარადისობის განცდისა, რომელიც რომანტიზმის და დიდი საქმეების დაუსრულებლად კეთებისაკენ ლტოლვას განაპირობებდა».

• «რა იყო ჩემს “კოსმოსურ” მეცნიერებაში განსაკუთრებული, მიუხედავად სამუშაოთა საკმაოდ მკაცრად გასაიდუმლეობისა, ეს კითხვა გარკვეულ პასუხს მაინც მოითხოვს».

ელგუჯა მემმარიაშვილი ასეთ კითხვას სვამს და თვითონვე პასუხობს მას:

«ეს იყო თავიდანვე არჩეული, სხვებისგან სრულიად განსხვავებული ხედვა კოსმოსური ნაგებობების ფორმასა და მის ცვალებადობაზე, რომელიც, ერთი მხრივ, მკაცრად ფორმალიზებულ, მეცნიერულ კანონზომიერებებს ემორჩილებოდა და, მეორე მხრივ, იყო ინტუიცია, რაც ნაგებობების სილამაზესთან, მოხდენილობასთან, პარმონიულობასთან იყო დაკავშირებული და ამაში იყო ქართული ხასიათი და მასზე დამყარებული შემოქმედება. ყველაფერი ეს კი არის ის არაფორმალიზებული პარამეტრები, რაც მიღებულ ცოდნასთან ერთად გროვდება, მაგრამ არ ისწავლება, არამედ განგების ძალით არის განპირობებული.

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ თითქმის თხუთმეტი წლით ადრე შევქმნი კონსტრუქციები, რომლებმაც შემდგომ პპოვეს გავრცელება ამერიკის შეერთებული შტატების სამუშაოებში და კოსმოსურ ორბიტაზე რეალიზებულ ობიექტებში».

როდესაც ელგუჯა მემმარიაშვილის ჩანაწერებს ვეცნობით, აღსანიშნავია მასთან დაკავშირებული ერთი პუბლიკაცია. იგი, როგორც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს გამოქვეყნდა სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივ ჟურნალ „ჭოროხში“ - №6. 2017 წ. ჟურნალის გამომცემელია აჭარის მწერალთა სახლი. პუბლიკაციის ავტორია ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ამასთან პოლიტიკოსი ბატონი თამაზ სურმანიძე, რომელიც ბოლო წლებში ბერად იყო აღკვეთილი.

აღნიშნულ პუბლიკაციაში მნიშვნელოვანია ის, რომ ელგუჯა მემმარიაშვილს, როგორც ავტორი ამბობს «“ზღვის ცის” ქვეშ შობილ გენიას», იგი წარმოგვიდგენს არა მარტო მისი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევებით არამედ, როგორც ბათუმის მკვიდრს, რომელიც არის ავტორი 404 გვერდიანი ბიოგრაფიული წიგნისა. ბატონ თამაზ სურმანიძეს შეფასებული აქვს ელგუჯას ლიტერატურული ფრაზები, რომლებიც წარმოაჩენს მის უნარს და განცდებს, თავისი მოგონებების უშუალოდ და მხატვრულად გადმოცემისა.

პუბლიკაციებში ამის მხატვრული მაგალითებია:

“... ძვირფასო მკითხველო! დასაწყისშივე გეტყვით, რომ ფრთიანი ფრაზა “ზღვის ცა” პირველად თქვა სახელოვანმა და საამაყო მამულიშვილმა, დიდმა მეცნიერმა, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალურმა კონსტრუქტორმა, გენერალმა ელგუჯა მემმარიაშვილმა ...”

“... ეს სიტყვები ნათქვანია საკმაოდ დიდი მოცულობის 404-გვერდიან წიგნში, რომელიც პირველიდან ბოლო სიტყვამდე ერთი ადამიანის, ელგუჯა მემმარიაშვილის, კალამს ეკუთვნის, თუმცა იგი თავისი გვარის წინ წამოწევისაგან თავს იკავებს ისე, როგორც მთელი მისი შემოქმედება, გენიალური აღმოჩენები და მათზე ხორცშესხმა იყო გასაიდუმლოებული და ანონიმური. რას ვიზამთ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, უთქვამთ და ავტორმაც თავისი წიგნი, “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი” (თბილისი, 2016), სახელ-გვარის მითითების გარეშე წარმოგვიდგინა ...”

“... შემდეგ ელგუჯას ბავშვური მეხსიერება გურიაში, იმერეთსა და ბორჯომ-ბაქურიანის ხეობაში გადაინაცვლებს, ჯიხეთის მონასტერი, დედის დეიდა მონაზონი მარიამი, ნათლობა ... ფიხხის შესაგროვებლად წასული მარიამი, რომელსაც გოდორში პატარა მგზავრი ელგუჯა ჰყავდა, ეკლესიის ეზოში დიდ ხეზე ზარი, რომელსაც ხელში აყვანილს არეკინებდა ...”

“... ბათუმის პირველი სკოლის პირველი კლასიდანვე ჩვენს გმირს განსაკუთრებით დაამახსოვრდა დამრიგებელი ქეთევან მიქელაძე; მისმა “სახემ, დიდსულოვნებამ და კეთილშობილებამ, ჩემში არამარტო კეთილი მოგონება, არამედ მუდმივად განახლებადი ემოციური მუხრი შემოიტანა და როდესაც ცხოვრების ასპარეზზე რაღაც წარმატებას ვაღწევ, კვლავაც და კვლავაც ქალბატონი ქეთი მიქელაძე მახსანდება, რათა მისგან ვირტუალური შეფასება მივიღო” – იგონებს იგი ...”

“... ასეთი დატვირთვის პირობებში ყმაწვილს თავისუფალი დრო არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ შინაგანი მისწრაფება ხელოვნების, სპორტის მიმართ თავისას აკეთებდა და იგი ცეკვის ანსამბლში ამ დარგის დიდოსტატის ენვერ ხაბაძის, ხოლო ჩოგბურთში ცნობილი მწვრთნელის გურამ თოხაძის შეგირდი გახდა.

ცეკვაში ელგუჯას წარმატება განსაკუთრებული აღმოჩნდა. იგი ანსამბლში ჩარიცხეს. თბილისში გამართული კონცერტის დროს, მისმა ბავშვის სოლო-ნომერმა “განდაგანაშ” მაყურებელი ისე მოხიბლა, რომ ოვაციები დიდხანს არ ჩამცხოვალა. კონცერტის დასრულების შემდეგ კი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვასილ მუავანაძემ, რომელიც მთავრობის ლოჟიდან ადევნებდა თვალს, ბავშვი მასთან მიაყვანინა, მოეფერა და საჩუქრად პატარა მაჟის საათი გადასცა ...”

“... ბორჯომ-ბაქურიანთან მიმართებაში საინტერესოა ელგუჯას მოგონებებიდან ერთი ადგილი, რაც ხუთიოდე წლის ბავშვის დაკვირვების ნაყოფია: “ხაშურის ქველ სადგურში მერცხლების გუნდი ადამიანებთან სულ ახლოს დაფრინავდა ... ვაგონის ფანჯარას არ მოვცილებივარ. რკინიგზა მდინარე მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან მიყვებოდა. ვაკვირდებოდი მდინარეს. იგი სრულიად განსხვავდებოდა ზღვისაგან ... მდინარეში ქვები, რომლებზეც წყალი ზემოდან გადადიოდა, დიდი თევზები მეგონა, დინების საწინააღმდეგოდ რომ მოცურავენ. წყალში ამოსული ხეები დავინახე და მატარებელიც ძალიან ახლოს მივიდა მდინარესთან. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს წყალში უნდა შესულიყო”.

რამდენო მოგონება და მემუარული ლიტერატურა წამიკითხავს, მაგრამ ბავშვს მისთვის უცხო გარემო ასე თსტატურად და ხატოვნად დამახსოვრებოდეს, არ შემხვედრია ...”

“... ელგუჯა მემმარიაშვილის მოგონებების ბათუმური პერიოდიდან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გემის კაპიტნის ქუდმა, რომელსაც იგი ატარებდა სკოლამდელ ასაკში, სკოლაში, სტუდენტობის დროს და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც, თბილისსა და მოსკოვში.

ამას ერთგვარი საბაბიც ამაგრებდა. ნურიის ტბის მოკამპამე ტბაზე იგი საბავშვო გემის მეზღვაური იყო და მეტსახელად “კაპიტანი” შეარქვეს.

ეს თავსაბურავი არა მხოლოდ კაპიტნის, “ზღვის ცისაცაა”. ქუდი კაცობის, სიმამაცის, ჰუმანურობის, თავმდაბლობის, უანგარობის, ნიჭიერების, სამშობლოს და საკუთარი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველი, რომლითაც მისმა მამულმა და მშობელმა ერმა უნდა იამაყოს ...”

როდესაც ელგუჯას ინტერესების სფეროს ვეხებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი სამოყვარულო თუ “პროფესიონალური” კინოშემოქმედება. კინოგადაღებები მან სკოლის წლებიდან დაიწყო, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინომოყვარულთა კლუბს ხელმძღვანელობდა. 1981 წლიდან მოყოლებული მის მიერ მრავალი მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური ფილმი მომზადდა, სადაც ასახული იყო საქართველოში მიმდინარე სამუშაოები კოსმოსური ტექნიკის დარგში. ფილმებს ედო გრიფი “სრულიად საიდუმლო” და ისინი სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებისთვის იყო განკუთვნილი.

----- . -----

2019 წლის, თუ არ ვცდები, გაზაფხულზე, ტელეკომპანია “რუსთავმა” ეთერში გაუშვა გადაცემა ევროპასთან მჭიდრო თანამშრომლობაზე კოსმოსური ტექნიკის დარგში. გადაცემა შეეხებოდა ელგუჯა მემმარიაშვილის კონკრეტულ საქმიანობას და მოღვაწეობას ევროპულ კომპანიებთან და ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსთან ორბიტალური კომპლექსების შექმნის დარგში, რომლებიც აიგება დიდგაბარიტიანი კოსმოსური რეფლექტორული ანტენების ბაზაზე. ამ გადაცემის ფრაგმენტებს თითქმის ერთი თვე, როგორც სარეკლამო მასალას პვლავ ეთმობოდა ეთერი.

გადაცემაში ელგუჯა მემმარიაშვილის მიღწევები და კონკრეტული პროექტების შესაფასებლად, გადაცემის ავტორმა, რესპონდენტებად აირჩია უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც ერთხმად აღიარებდნენ, რომ პროფესორი

ელგუჯა მემმარიაშვილი არის წარმოჩენილი და წარმატებული მეცნიერი, რომლის  
მიღწევები აღიარებულია მსოფლიოში.

ელგუჯა მემმარიაშვილის მოდვაწეობის პროფესიონალური შეფასების  
მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ერთი დეტალი, რომლის შესახებ ბატონი შოთა  
წეროძე იხსენებს:

“ევროპული კოსმოსური სააგენტოს – “ESA”-ს, პოლანდიის განყოფილებაში  
“ESTEC”-ში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, “ნაგებობების, სპეციალური  
სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის” – ეგიდით, უფრო  
სწორად ელგუჯა მემმარიაშვილის და მისი გუნდის ავტორიტეტით განისაზღვრა  
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება. კონფერენცია ჩატარდა  
2012 წლის 2-3 ოქტომბერს.

კონფერენციაზე, ერთ-ერთ სხდომაზე, ჩემს გვერდით იჯდა ევროპული  
კოსმოსური სააგენტოს ანტენების მექანიკური კონსტრუქციების დეპარტამენტის  
უფროსი, დოქტორი, ჯულიან სანტიაგო პროგალდი. მომხსენებლები ერთმანეთის  
მონაცემებით წარმოადგენდნენ კოსმოსური რეფლექტორების აგების ახალ  
სქემებს და პრინციპებს. ამ დროს, ჯულიანმა მითხვა – დააკვირდი, უმეტესი  
სქემები თქვენი და ჩვენი ერთობლივი სამუშაოთია შექმნილი, რეფლექტორის  
იდეოლოგიას და კონკრეტულ გადაწყვეტებსაც იმურღებენ.

ჯულიანის ასეთმა შეფასებამ, ძალიან გამახარა და იმ მომენტში თავი ამაყად  
ვიგრძენი. ეს იყო საქართველოს და კოსმოსური ტექნიკის გენერალური  
კონსტრუქტორის ელგუჯა მემმარიაშვილის გამარჯვება”.

ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის აგების შემდეგ არ გვახსენდება  
საქართველოში ისეთი მნიშვნელობის მიღწევა ტექნიკის, ან სამხედრო მეცნიერების  
დაგმი, რომელსაც ელგუჯა მემმარიაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა მიაღწიეს.

მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, ელგუჯა მემმარიაშვილი, გამორჩევით,  
ყოველთვის იქნება პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური  
კონსტრუქტორი, როგორც ეროვნული დირსების მქონე ქმნილების ავტორი.

პირველმა ქართულმა კოსმოსურმა ობიექტმა, რომელიც ორბიტაზე გაშვების  
შემდეგ, 1999 წლის 23÷28 ივნისს წარმატებით გაიშალა, გამოიცადა და დაიწყო  
დედამიწის ირგვლივ თავისუფალი მოძრაობა, ქართველ ერს მისცა საშუალება,  
კიდევ ერთი ახალი ათვლის წერტილი მოენიშნა თავის ისტორიაში, როდესაც  
ქართული მატერიალური ქმნილება, პირველად გასცდა დედამიწის მიზიდულობას  
და გავიდა უკიდეგანო კოსმოსურ სივრცეში.

სწორედ ამას აღნიშნავს თავის შეფასებაში წილგნის და დუშეთის  
მიტროპოლიტი ზოსიმე:

მის ცხოვრებუში ლვილის ძლიოთ და შემცირით  
უკი დიდი გაელვაზების და გმირული ნირგოჩენის ქურიოდ,  
როდესაც მან, ელგუჯა მექმანის შეიცვლა, საქართველოს  
ისტორიის მატიანის ახალ ფერზე დასრულდა ჩანახა  
— 1999 წლის 23 ივნისს ღია კოსმოსური სიკრიუში გავიდა  
ისტორიაში ჩინული ჭრითოლი კოსმოსური ობიექტი.

ეს რეალობა, ამ მოვლენის გვერდს ვერავინ აუცილებელი იყო შთამომავრობას გადაუცემა.

ნილვნისა და დოქტორის მიტიონილიტი  




იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მ. ხორხელის, გ. ქორიძის, ვ. ოქმელაშვილის

გადაეცა წარმოებას 25.12.2020. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.01.2021. ქაღალდის ზომა 60X84  
1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 5.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

